ლუარა ჭანტურია

სხვა ძმის ქვეყანაში ზღაპარი

თბილისი
2020

რედაქტორი
გიორგი სიჭინავა - მწერალი, საზოგადო მოღვაწე

მხატვარი
გოჩა ზირაქიშვილი - მინდელბერგი

წინათქმა

ზღაპარი ყოველთვის იყო და იქნება ჭიდილი სიკეთესა და ბოროტებას შორის, რომელიც მთავრდება დევიზით - „კეთილმან სძლია ბოროტსა, არსება მისი გრძელია“. ეს შეგონება საუკუნეების მანძილზე გადაეცემოდა თაობებს, დღესაც ძალაშია და მომავალშიც ასე იქნება. დედაარსი ამ შთაგონებისა ის არის, რომ ჭეშმარიტება მხოლოდ სიყვარულშია, რომელიც ყველამ საკუთარი შინაგანი ძალისხმევით უნდა ჰპოვოს.

წინამდებარე ზღაპრის შთაგონების წყაროა ბავშვობიდან გამოყოლილი სულიერი საგზალი - სიკეთის კეთება ყოველგვარი ანგარების გარეშე, მართალია, ბოროტებას ვერ გავაქრობთ, ვინაიდან ორივე სიკეთეც და ბოროტებაც ამ ცოდვილი სამყაროს შვილები არიან, მაგრამ ჩვენი ვალია სიკეთის აღზევება, განმტკიცება, გაძლიერება იმ მრწამსით, რომ სიყვარული და სიკეთე ამ ქვეყნად ყველაფერზე მაღლა უნდა იდგას.

გვეტყვიან: ზღაპარი მარტივად და ადვილად გასაგები უნდა იყოს, ვინაიდან იგი ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი აზროვნების მქონე პატარებისთვის არის განკუთვნილიო. ეგზიუპერისა არ იყოს, ჩვენც ვამბობთ, რომ ბავშვები უფრო ახლოს არიან სამყაროსთან, მის საიდუმლოებებთან, ვინემ ცხოვრების ორომტრიალში ჩაკარგული

ადამიანები. (მათ ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად ხშირად ბავშვობისკენ უწევთ მობრუნება). მე როცა ზღაპარს ვწერდი, თვალწინ მედგა თანამედროვე ბავშვების გონებრივი შესაძლებლობა, მათი განსხვავება წინა თაობებისგან. ლევ ტოლსტოი წერდა, ხუთი წლის ასაკამდე ბავშვი ჯერ კიდევ ედემის ბაღში იმყოფებაო. ე.ი. ის იმ მზის ქვეყანაში ცხოვრობს, სადაც ჩვენი პატარა გმირი მიჰყავთ ღვთის ანგელოზებს, რათა უჩვენონ გონებრივი და სულიერი განვითარების გზა, თუ რა მიმართულებით უნდა იარებოდეს კაცობრიობა. ადამიანთა მოდგმის გადამრჩენელი უდიადესი ძალა მხოლოდ სიყვარული და ურთიერთპატივისცემაა.

ლუარა ჭანტურია

Oყო და არა იყო რა
ღვთის უკეთესი რა იქნებოდა ...
ასე იწყება ყველა ზღაპარი და ეს
ერთერთი მათგანია...

ერთ პატარა მთაგორიან სოფელში ცხოვრობდა ბიჭი სახელად ალექსანდრე. ბიჭს ბებია და ბაბუა ზრდიდნენ. მას ლაღი ბავშვობა ჰქონდა. ერთ მშვენიერ დღეს, მისი უმანკო სული წააწყდა ბოროტებას, რომელმაც დაუნგრია სულიერი სიმშვიდე და დიდ საგონებელში ჩააგდო. გამოსავალს ვერა და ვერ პოულობდა. ღონემიხდილ ბავშვს ჩაეძინა და სიზმარში გამოეცხადა ანგელოზი, რომელმაც წაიყვანა იქ, საიდანაც ამპარტავნობის გამო ადამიანებს დააატოვებინეს სხვა მზის ქვეყანა. ანგელოზებმა ალექსანდრეს უჩვენეს ის ყოფიერება, რაც მიწიერ სამყაროში წარმოუდგენელია. შინ დაბრუნებულს გზაში სატანა დახვდა, რათა დაევიწყებინა „სხვა მზის ქვეყნის“, სიკეთე. ეს უდიდესი გამოცდაა. გაუძლებს თუ არა ამ გამოცდას ჩვენი პატარა გმირი, ეს მკითხველისთვის მიმინდვია.

თავი I

უმანკო სული

Oყო და არა იყო რა ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი მთაგორიანი პატარა სოფელი, რომელიც ბარიდან აღარც კი მოჩანდა, ვინაიდან ზამთარში ხანგრძლივად ეფლობოდა თოვლის საფარქვეშ, ხოლო ზაფხულში, რომელიც აქ ძალზე ხანმოკლე იცოდა, სქელ ნისლში ახვევდა. იშვიათი იყო ისეთი დღეები, როცა ნისლის ბოლქვებს

ქარი გაფანტავდა და აი, მაშინ გამოჩნდებოდა კლდის თავზე აქა - იქ სოკოებივით მიმოფანტული ქვითკირით ნაშენები პატარა სახლები, თავის კოშკებითა და მაღალი სათვალთვალო ჯიხურებით. ერთ-ერთ ასეთ პატარა სახლში ცხოვრობდა ობოლი ბიჭი, რომელსაც ალექსანდრეს ეძახდნენ. სახლი, რომელშიც ბიჭი დაიბადა და იზრდებოდა, ძველთაძველი იყო. ის თურმე პაპის პაპას აეშენებინა კლდის ნაშალი ქვებისაგან. მისი კედლები მკვიდრად იყო ნაგები და აქამდე ჯიუტად უძლებდა ბუნების ჭირვეულობას. ბიჭი სულ რამდენიმე თვისა იყო, როცა მამა დაეღუპა. ჯიხვებზე სანადიროდ წასული შინ აღარ დაბრუნებულა. არავინ იცოდა, სად ჩაიყოლა

უფსკრულში მეწყერმა. სოფელმა ბევრი ეძება, მაგრამ მის ნაკვალევს ვერავინ მიაგნო. ბიჭის დედა მაინც ელოდა უგზოუკვლოდ დაკარგულ მეუღლეს, მერე მოთმინება დაკარგა, გულმა ვეღარ გაუძლო დარდს და ისიც ნაადრევად წავიდა ამ წუთისოფლიდან. როგორც ვთქვით ბიჭს ბებია და ბაბუა ზრდიდნენ. ბაბუა მწყემსი იყო, ოციოდე ცხვარი ჰყავდა. მიუხედავად ხანდაზმულობისა, ჯანიანად და მხნედ გამოიყურებოდა. ბიჭი ხშირად ეხმარებოდა ბაბუას. როცა თოვლი გადნებოდა, ცხვარს მახლობელ დაბლობზე გარეკავდნენ ხოლმე საბალახოდ. ალექსანდრეს ძალიან უყვარდა ისინი და ყოველ მათგანს ახლობელი ადამიანივით ეფერებოდა. ცხვრებიც სიყვარულით პასუხობდნენ, დაინახავდნენ თუ არა, მაშინვე მის ირგვლივ შეჯგუფდებოდნენ და თითქოს თავისებურად ეფერებოდნენ.

ბაბუას და შვილიშვილს ერთი ბომბორა ნაგაზი ჰყავდათ, რომელიც მუდამ ფხიზლად დარაჯობდა ცხვარს. ნაგაზი კავკასიური ჯიშისა იყო, უშიშარი და ღონიერი. მისი შიშით და რიდით მგლები ფარასთან გაკარებასაც ვერ ბედავდნენ. ბომბორას საოცარი ყნოსვა ჰქონდა და მყისვე გრძნობდა ნადირის მოახლოებას. თუ კი საფრთხე მოსალოდნელი იყო, ისეთი ხმით

დაიყეფებდა, რომ მგლებს კი არა, ალბათ ლომსაც კი დააფრთხობდა. ბომბორას ყეფაზე ბაბუა ფილთა თოფს მოიმარჯვებდა, იცოდა ბომბორა უმიზეზოდ არ ყეფდა და მიუხედავად იმისა, რომ სიახლოვეს ნადირს ვერ ამჩნევდა, ჰაერში გაისროდა ტყისბინადართა დასაფრთხობად. ეს ერთი გასროლაც საკმარისი იყო, ირგვლივ ისევ სიმშვიდე გამეფებულიყო. ცხვრებიც უშიშრად ბალახობდნენ. ძალიან ეიმედებოდათ პატრონის და მუდამ ფხიზელი ბომბორასი.

თავი II

ნიღაბი

ბოროტებას თურმე ათასი სახე აქვს. ის ზოგჯერ მგლის ტყავში გაეხვევა, ზოგჯერ ბატკნად მოგაჩვენებს თავს... თუ ძალიან გათამამდა, აშკარად გარდაიქმნება ადამიანად; როცა სიკეთის ეშინია, ის უჩინმაჩინის ქუდს დაიხურავს და კაცის თვალთაგან შეუმჩნეველი გახდება, არ ისვენებს, არ იძინებს, დღე და ღამე მოძრაობაშია. უფრო ბარში სახლობს. გაშლილი სივრცე უყვარს, თანაც ბარში ადამიანები მრავლად არიან და აქ უფრო კომფორტულად გრძნობს თავს. ის ბუნებით მონადირეა, მაგრამ მხოლოდ ადამიანებზე ნადირობს. უფრო გულუბრყვილოებს და

ზარმაცებს ეძებს. ეადვილება მათი მოტყუება. შენიღბულ ბოროტებას სხეული არ გააჩნია, მაგრამ ის ვნების, სურვილის, შურის სახით ჩნდება და ასე ადვილად იპყრობს ადამიანის გულსა და გონებას. თუ ვინმეს სულში ჩასახლდა, მერე ძნელია მისი იქიდან გაძევება.

მგლებმა ალექსანდრეს ფარას ვერაფერი

რომ ვერ დააკლეს, შიკრიკი გაგზავნეს დაბლობში უხილავი ბოროტების მოსაძებნად. მისგან უნდა ესწავლათ როგორ უნდა შეეპყროთ და შეეჭამათ ალექსანდრეს ცხვრები. მგლების შიკრიკი ღამით შევიდა სოფელში, მაგრამ არ იცოდა თუ როგორ მიეგნო ამ ბნელი ძალებისათვის. იმალებოდა ჩირგვებში და დაფეთებული აქეთ - იქით აცეცებდა თვალებს, მაგრამ სულიერს ვერავის პოულობდა და თანაც გათენების შიშით ძრწოდა; უცებ რაღაც ძალამ ახლოს ჩაუქროლა მგლების შიკრიკს და ცოტა მოშორებით შეყოვნდა.

- მე ისა ვარ, ვისაც შენ დაეძებ. - თითქოს მახლობელი ბუჩქის ფოთლები ჩურჩულებდნენ. - როგორ თუ შენ ხარ?! . - გაიკვირვა მგლების შიკრიკმა. - შენ ხომ ქარი ხარ უსხეულო და ადამიანებთან რას გახდები?

- ნუ გეშინია! - დაამშვიდა ბოროტმა სულმა. - მე ზოგჯერ ნიავი ვარ, ზოგჯერ ქარი ვარ და როცა მინდა ქარიშხლად ვიქცევი. ადამიანები წინააღმდეგობას მიწევენ, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მიმკლავდებიან. მე მათ მოფერებითა და გულთქმების აღძვრით ვძლევ. მთებში იშვიათად ავდივარ, მაგრამ მე უკაცრიელ ადგილებში მოწყენილობას ვაგზავნი. მოწყენილობა ჩემი ერთგული ყმაა. „ერთგული ყმა“, რომ ვახსენე, სიტყვა კი არ გამექცა, მე მეგობარი არ მყავს და არც მჭირდება, ჩემი მსახურები ჩემი ყმები არიან. მეგობრებს ადამიანები ეძებენ, მაგრამ მე ვართმევ მათ. ვცდილობ მეგობრები მტრებად ვუქციო. თქვენ ვერაფერი ავნეთ

მოხუცისა და პატარა მწყემსის ფარას, იმიტომ, რომ მხოლოდ მგლები ხართ და მუდამ ერთი სახე გაქვთ. მგლებს კი ცნობენ, ვერასდროს ვერ მოირგეთ კეთილის ნიღაბი. ბოროტებას უნიღბოდ არსებობა არ შეუძლია. მხოლოდ სიკეთეს არ სჭირდება ნიღაბი. მას დასამალი არაფერი აქვს. მწყემსებმა ცხვრის ფარას მიახლოვებული მგლები თუ შენიშნეს, თოფებს გესვრიან, ძაღლებს მოგისევენ, ერთ ვაიუშველებელს ატეხენ და მთელ

სოფელს ფეხზე დააყენებენ. ასე იმიტომ გემართებათ, რომ უსწავლელები ხართ, ბოროტებამ სიკეთე უნდა გაიცნოს, კი არ უნდა შეიცნოს, არამედ უნდა გაიცნოს, უნდა იცოდეს რატომ ხიბლავს ის ადამიანებს. სიკეთის სახელით ბოროტების კეთებას დიდი ცოდნა უნდა.

ეს ცოდნა ღვთისგან არ ისწავლება. რასაც ღმერთი ადამიანებს ასწავლის, ის უკუღმა უნდა შეაბრუნო, ყველაფერი უკუღმა უნდა აკეთო. ამაშია დემონის ძალა. ჩვენ თითქმის დავიპყარით ბარის სივრცეები, ახლა აქ სიკეთე ავადაა და სულს ღაფავს. მართალია მთებში გვემალებიან სიკეთის მაძიებელნი, მაგრამ მათაც მალე მივწვდებით. სურვილები, გულისთქმები ვნებები ყველგან იპოვის გზას, ის ისეთი ძლიერია პიტალო კლდესაც გაბურღავს და მიაგნებს ბნელ მღვიმეებში დაყუდებულ მეუდაბნოეს. წადი, გათენებამდე გააღწიე აქედან და ამბავი მიუტანე შენებს, უთხარი, რომ მალე ამოვალთ.

გახარებული მგლების შიკრიკი შეუმჩნევლად გავიდა მძინარე სოფლიდან. მთის იალაღზე შეფენილი ცხვრის ფარა კი მშვიდად ძოვდა ლორთქო ბალახს. ირგვლივ სიჩუმე იყო და ხიფათს არავინ ელოდა. ბიჭი მდელოზე ლაღად წამოწოლილიყო და სალამურზე უკრავდა. ბაბუა ახალმოთიბულ ბალახის ზვინზე გულაღმა იწვა. იქვე ახლოს მდელოზე გაშოლტილიყო ბომბორა, წინა ფეხები გრძლად გაეჭიმა, თავი ზედ ჩამოედო და ფერდობზე შეფენილ ფარას გასცქეროდა. უცებ მან შეამჩნია, რომ ორი ადამიანი ამოდიოდა მაღლა, ვიწრო ბილიკით. ბიჭმაც შენიშნა ისინი და ბაბუას დაუძახა, ვიღაცები ჩვენკენ მოდიანო. მოხუცი ზანტად წამოდგა, შუბლზე ხელი მოიჩრდილა და დაკვირვებით გახედა აღმართზე ამომავალ მამაკაცებს. ჩაცმულობით აქაურებს არ გავდნენ. მოხუცმა იფიქრა მყიდველ-გამყიდველები არიანო და მოთმინებით დაელოდა.

თავი III

ბორიტება

მოულოდნელად ბომბორა გაავდა. საშინელი ყეფა ატეხა და უცხო ადამიანებისკენ გაიწია. მოხუცმაძლივსმოასწროძაღლისსაყელოღვედ-ზე ხელის წავლება. ადრე ადამიანებს არ უყეფდა.

მხოლოდ მაშინ შეუღრენდა, როცა პატრონი შეუძახებდა. - ესენი ადამიანები არ არიან - თქვა მოხუცმა. ალექსანდრეს გაუკვირდა ორი კაცი ამოდიოდა ფერდობზე, ამას ნათლად ხედავდა ბიჭი და ბაბუას ნათქვამი, ესენი ადამიანები არ არიანო, ძალიან გაუკვირდა. იფიქრა, ბაბუა ძალიან დაბერდა, მხედველობა დაუქვეითდა და ხეირიანად ველარ ხედავსო.

- ბაბუ, ვერ ამჩნევ, რომ ორი კაცი მოდის?

-ვამჩნევ ბაბუ, მაგრამ იმასაც ვხედავ, რომ ჩვეულებრივი კაცები კი არა, ავი სულები არიან. ამიტომაც გაავდა ბომბორა. ის ჩვენზე უკეთ გრძნობს ყოველივეს... - ეს თქვა და ის კაცებიც მოულოდნელად გაქრნენ.

ბაბუა და შვილიშვილი გაოგნებული დარჩნენ. გაფაციცებით იხედებოდნენ აქეთ-იქით, მაგრამ კაცები არსად ჩანდნენ. მოხუცმა ვერ დააკავა გაავებული ძაღლი და ისიც საშინელი სისწრაფით გაქანდა დასავლეთისკენ. მოხუცმა კომბალი აიღო და ძაღლს

გაეკიდა. ალექსანდრე მარტო დარჩა. არ იცოდა რა ექნა, საით წასულიყო. მანაც დაინახა, რომ ცხვრებიც გარბოდნენ სხვადასხვა მიმართულებით. მერე ნისლი ჩამოწვა, ყველაფერი ბურუსში შთაინთქა და ალექსანდრეს ახლა უცნაური ხმაური, ყმუილი, ძაღლის ყეფა და ბაბუას ყვირილი ესმოდა მხოლოდ, თვალით კი ვერაფერს ხედავდა.

უცაბედად აირია ყველაფერი. მთისპირა პატარა სოფლის მშვიდი ცხოვრება დაირღვა. თითქოს ქარიშხალივით შემოიჭრა რაღაც უხილავი ძალა და ააფორიაქა იქაურობა. ნისლი უძრავად იწვა და კარგა ხანს არაფერი ჩანდა. ალექსანდრე ეძახდა ხან ბაბუას, ხან ბომბორას, მაგრამ ისინი პასუხს არ იძლეოდნენ. მერე შიშმა შეიპყრო მარტოდ დარჩენილი ბიჭი. გუმანით გრძნობდა, რაღაც ბნელი ძალები დათარეშობდნენ ახლო - მახლო და სხვა ვერაფერი რომ ვერ მოიფიქრა ხეზე აძვრა, ტოტზე ჩამოჯდა და ხელებით ჩაეხუტა ხის ვარჯს. ქვევით კი რაღაც გაურკვეველი ლანდები დაშლიგინებდნენ, ზოგჯერ ხის ძირას შეჩერდებოდნენ, ნაკვერჩხლებივით მბრწყინავი თვალებით აიხედავდნენ ზევით და უხმოდ გაეცლებოდნენ იქაურობას.

მერე ქარმა წამოუბერა, ნისლი დაძრა, აწეწ - დაწეწა, დაანაწევრა და მზის სხივებმაც გამოაღწიეს ბურუსიდან.

კარგა ხნის მერე მოხუცი დაბრუნდა. ძალზე შეწუხებული იყო, დანა პირს არ უხსნიდაო რომ იტყვიან, ისე იყო გაქვავებული. ალექსანდრე გუმანით მიხვდა, რომ რაღაც ცუდი ამბავი მოხდა, მაგრამ შეშინებულს ხმის ამოღება უჭირდა. ბოლოს ბომბორაც გამოჩნდა. კოჭლობით მოდიოდა ენაგადმოგდებული. მარცხენა ყურიდან სისხლი სდიოდა, ეტყობა სადღაც მგლის ხროვას გადაეყარა და დიდი ბრძოლა გადაიტანა. „კიდევ კარგი, რომ ცოცხალი დაბრუნდა“. - გაიფიქრა ალექსანდრემ. გაეგონა, ძაღლი კოჭლობით არ მოკვდებაო. მოხუცი კუნძზე ჩამოჯდა და ზურგით მიეყრდნო ხეს.

- რა მოხდა ბაბუა. - გაუბედავად იკითხა ალექსანდრემ.

- ჩვენს ფარას მგლის ხროვა დაესხა თავს. იმ ბოროტმა სულებმა შეუწყვეს ხელი. მე და ბომბორა სხვაგან გაგვიტყუეს. მგლები მარტოდ დარჩენილ ცხვრებს დაერივნენ. არ ვიცი რამდენი დახოცეს და რამდენი გადარჩა... - ძლივს ლაპარაკობდა დაღლილ - დაქანცული მოხუცი.

მგლის ხროვას ექვსი ცხვარი დაეგლიჯა. გადარჩენილებს ძლივს მოუყარეს თავი და შინისაკენ გარეკეს.

თავი IV

ანგელოზის გამოცხადება

ამ ამბის შემდეგ სულ სხვანაირი გახდა ალექსანდრე, აქამდე მუდამ ლაღი და მხიარული საოცარმა ნაღველმა და სევდამ შეიპყრო. სალამურზეც იშვიათად უკრავდა და თუ დაუკრავდა, მხოლოდ სევდიან მელოდიებს.

ბაბუამ და კიდევ სხვა ხანდაზმულმა ადამიანებმა ურჩიეს ეკლესიაში ევლო, ხშირად ელოცა, ლოცვა სიმშვიდეს მოგიტანსო. ალექსანდრემ იმ დღემდე არ იცოდა რა იყო ბოროტება, არც არაფერი სმენია ავ სულებზე. ვინაიდან არ იცოდა რა იყო ბოროტება, არც სიკეთე იცოდა. ის იყო ისეთი, როგორიც იყო - მთლიანი, განუყოფელი და რადგან არ იცნობდა ბოროტებას, მისდაუნებურად, ყოველგვარი წინასწარ განზრახვის გარეშე ჩადიოდა სიკეთეს.

მის საქციელს გულუბრვილობა მართავდა, მაგრამ ამ წინააღმდეგობით სავსე წუთისოფელში ასე დიდხანს ვერ გაძლებდა და აი, მოხდა მოსახდენი.

ერთხელ ალექსანდრეს ადრე დაეძინა. მთელი დღე უგუნებოდ იყო და ძილი რომ მოერია, ტახტზე გაუხდელი წამოწვა. შუაღამე გადასული იქნებოდა, რომ ძილში თეთრად შემოსილი კაცი გამოეცხადა. ალექსანდრე მიხვდა, ის ვინც გამოეცხადა, ადამიანი კი იყო, მაგრამ მიწიერ არსებას მაინც არ გავდა. მისი თვალები ანათებდნენ და ეს უცნაური სინათლე სიმშვიდეს ჰგვრიდა.

- მე რა ღირსი ვარ ანგელოზო შენი ხილვის. - უნებურად წამოცდა ალექსანდრეს და სიხარულისგან

თვალებზე ცრემლები მოადგა.

- შენ წუხელ ეკლესიაში ლოცულობდი და მე მესმოდა შენი ლოცვა, ვინაიდან თითოეული შენი სიტყვა გულწრფელი იყო და სინანულით სავსე. ამაღამ გესტუმრე რათა განუგეშო, მაგრამ ჯერ მწარე სიმართლე უნდა გითხრა; ამ სოფლის ადამიანებს არა აქვთ ერთმანეთის სიყვარული და ყველა უბედურება აქედან მოდის. სადაც სიყვარული არაა, იქ ავი სულები მოდიან და მოაქვთ ყოველგვარი უბედურება. თქვენ რომ სიყვარულს ეძახით ის, სიყვარული არ არის. ასე მგელსაც უყვარს ცხვარი, უყვარს რათა შეჭამოს. სიყვარული სულ სხვაა. ის სხვაგან არის, სხვა მზის ქვეყანაში. ანგელოზებმა გადაწყვიტეს გამოგზაურონ იქ და მეგზური შენი იქნება სხივი. აქაური მზის სხივი, რომელიც იმ ქვეყნის კარიბჭემდე მიგიყვანს.

თავი V

სხვა მზის ქვეყანაში

ბიჭს გამოეღვიძა. არსად ჩანდა ის ნათლით მოსილი კაცი. უკვე განთიადი მოახლოებულიყო. აღმოსავლეთით წითლად შეფერილი ცა მზის ამოსვლას ელოდა. ბიჭი წამოდგა, სარკმელთან მივიდა, მზერა აღმოსავლეთს მიაპყრო. გულისფანცქალით ელოდა მნათობის გამოჩენას. მალე მზეც ამოიწვერა და პირველი სხივი ბიჭის სარკმელს სტორცნა. ბიჭს რაღაც სასიამოვნო სითბო ჩაეღვარა სხეულში და თითქოს წონა დაკარგაო, საოცარი სიმსუბუქე იგრძნო.

- გამოდი გარეთ და იარე ამ სხივის მიმართულებით. - ყურში ჩაესმა ვიღაც უხილავის ხმა. ბიჭი მორჩილად დაჰყვა ამ იდუმალ ხმას და ეზოში ჩავიდა. მაღლა აიხედა და ნახა სხივს ცის ტატნობზე ოქროსფერი წვრილი ხაზი დაეტოვებინა. ეს ნიშანი იყო იმისა თუ საით უნდა აეღო გეზი ბიჭს და რა მიმართულებით ევლო. ეზოდან რომ გადიოდა, მეზობელი შეხვდა.

- საით, ასე დილაადრიანად? - ჰკითხა მან.

- სხვა მზის ქვეყანაში. - მიუგო ბიჭმა.

მეზობელმა ბიჭის პასუხი ვერ გაიგო, მაგრამ მაინც ხუმრობად ჩათვალა.

- აი, იმ ხაზს მივყვები ცაზე რომ მოჩანს. ის პირველი სხივის კვალია და გზას ის მიჩვენებს. - აუხსნა ბიჭმა. მეზობელმა მაღლა აიხედა, მაგრამ ცაზე ვერანაირი კვალი ვერ შენიშნა და ხელი ჩაიქნია.

იმ სხივის ნაკვალევს მხოლოდ ბიჭი ხედავდა; რადგან ღვთის განგებით სხვებისთვის შეუმჩნეველი იყო.

ბიჭი მიდიოდა და მიდიოდა. ვერ გრძნობდა ამ სიარულში რამდენი ხანი გავიდა. მხოლოდ იმას მიხვდა, რომ დროის შეგრძნება დაკარგული ჰქონდა. ასე ეგონა, დღე და ღამე გამთლიანდა და ირგვლივ არაფერი იცვლებოდა. ამ სიშორეზე მიმავალს საგზალი არ წამოუღია. სრულიად მოუმზადებლად დაადგა გზას, მაგრამ მისდა გასაკვირად, არ შიოდა და არც სწყუროდა...

ბევრი იარა თუ ცოტა იარა ხმელეთის დასარულს მიადგა. წინ უსაზღვრო ლურჯი სივრცე

გადაშლილიყო. ბიჭს თავიდან ეს ლურჯი კამკამა სივრცე მიწაზე დამხობილი ცა ეგონა, მაგრამ უფრო ახლოს რომ მივიდა ნახა წყლის სამეფო იყო, ადამიანები ზღვას რომ უწოდებდნენ. ნაპირს იქით გზა არ იყო და ბიჭმა მაღლა აიხედა. უნდოდა გაეგო მზის სხივი საით მიუთითებდა, მაგრამ მისდა გასაკვირად ცაში გამქრალიყო სხივის ნაკვალევიც. ბიჭი ნაპირთან იდგა და აღარ იცოდა საით წასულიყო. უცებ ნაცნობი ხმა ჩაესმა:

- შედი ზღვაში. თვალი დახუჭე და ნურაფრის შეგეშინდება!

ბიჭი ასეც მოიქცა. შევიდა ზღვაში. ფსკერი ქვიშიანი იყო. შედიოდა და წყალი მუხლამდე წვდებოდა, შემდეგ თანდათან ჩაღრმავდა. ბიჭმა ცურვა არ იცოდა და შეეშინდა. წყალი მკერდამდე რომ მოწვდა, შეჩერდა. ერთი პირობა უკან დაბრუნება დააპირა და შემობრუნდა, მაგრამ ჰოი, საოცრებავ! ნაპირი გამქრალიყო, ხმელეთი ცას შერთვოდა და იქითაც უსაზღვრო სილურჯე გამეფებულიყო. ისევ იდუმალმა ხმამ შეაგულიანა:

- ნუ გეშინია. არ დაიხრჩობი, გამხნევდი და ისევ წინ წადი!

ბიჭი წყალში მთლიანად რომ ჩაიძირა, რაღაც უშველებელმა ზღვის მხეცმა პირი უყო და გადაყლაპა. მერე არაფერი ახსოვს. რაღაცის მუცელში იწვა და თითქოს ეძინა. ის მხეცი იქნებ მოთვინიერებული ვეშაპი იყო. ერთი მიმართულებით მიცურავდა და თან

მიჰყავდა ნახევრადმძინარე ბიჭი. ვინმეს უნახავს კეთილი ვეშაპი? ბიჭს ახლა არაფრის განსჯის თავი არ ჰქონდა, იმას კი გრძნობდა, რაც მის ირგვლივ ხდებოდა მიწიერ ყოფასთან შეუსაბამო იყო. ბიჭი რაღაც შეუცნობელი არსების მუცელში იწვა; თითქოს გარკვეული დროის მერე ახალი ცხოვრებისთვის ხელახლა უნდა შობილიყო.

თურმე არსებობს სხვა მზე და სხვა მზის ქვეყანა,

მაგრამ იქ არ არის მთვარე, ვინაიდან სხვა მზის ქვეყანაში ვერასოდეს შემოაღწევს სიბნელე და ამრიგად, იქ არასოდეს ღამდება. სხვა მზის ქვეყანაში ადამიანებმა, ფრინველებმა, ცხოველებმა არ იციან თუ რა არის ძილი; ძილი ხომ სიკვდილის პატარა ძმაა. იქ სადაც ახლა ბიჭი უცხო არსებას მიჰყავს, მარადიული სიცოცხლე სუფევს. იქ არასდროს ბერდებიან ადამიანები და მუდმივად ინარჩუნებენ ახალგაზრდულ სილამაზეს, მხნეობასა და მომხიბვლელობას. იმ საოცარ ქვეყანაში, სიკეთე მეუფეობს. ცოდვილი არსება იქ ვერ მოხვდება და ამიტომაც ცოცხლობენ მარადიულად. ბოროტება, შური, მტრობა, სიძულვილი და ამპარტავნობა აბერებს ადამიანებს და ეს ყველაფერი სუფევს იმ სივრცეში, საიდანაც წამოვიდა ბიჭი, ასაკით ის ჯერ ბავშვია და როგორც ყველა ბავშვი, ისიც უცოდველი იყო, ოღონდ უცოდველობა გარკვეულ დრომდე დაემგზავრებოდა, მერე კი... მერე რაც მოხდებოდა, ამაზე ეშმაკმა დაუწერა პატარა ლექსი, რომელიც არ ახსოვს ვინ ასწავლა, მაგრამ მაინც დაიზეპირა. აი ის საგულისხმო სტროფიც;

„ბავშვი არის უმანკო და
უცოდველი არსება,
მაგრამ როცა გაიზრდება,
მშობლებს დაემსგავსება“.
მგლის სახით მან იგრძნო პირველი სიძულვილი.

სხვაგვარად აბა როგორ უნდა მომხდარიყო? მგელმა ხომ ცხვარი შეუჭამა?! იტირა ბიჭმა და გაბრაზებულმა ღმერთს შესჩივლა, ღმერთო მიუზღევი სამაგიერო იმ მგელს, რომელმაც უდანაშაულო ცხვარი მომიკლაო. ღმერთს შეეცოდა მტირალი ბიჭი, მაგრამ თხოვნა არ შეუსრულა; იმ მზის ქვეყანაში,

სადაც ბიჭი დაიბადა, ცოდვა -მადლი ერთმანეთში იყო არეული და ძალმომრეობა გახდა ცხოვრების წესი.

არ შეუსრულა მუდარა ღმერთმა ბიჭს და ამის მიზეზი რომ გაეგო, ამიტომ გამოამგზავრა სხვა მზის ქვეყანაში, რათა საკუთარი თვალით დაენახა და საკუთარი გულით ეგრძნო ნამდვილი ცხოვრება. ძალმომრეობისა და შურისგების ქვეყანაში კი სულ სხვა მზე ანათებს და სხვანაირი ყოფაა. იქ ვერ შეაღწევს მიწიერი ადამიანი ღვთის ნების გარეშე. ამ მზეს ეძებენ კოსმონავტები, მაგრამ ამაოდ! განა კოსმოსურ ხომალდს შეუძლია სულიერ სამყაროში შეღწევა?

ორმოცი დღე და ორმოცი ღამე მიცურავდა „კეთილი ვეშაპი“ სილურჯის ზღვაში. მართალია, აქ დროის შეგრძნება შეუძლებელი იყო, ვინაიდან არაფერი ბრუნავდა, ყველაფერი უძრაობაში იმყოფებოდა, მაგრამ ბიჭის გაუჩინარების დროს იქ ითვლიდნენ, საიდანაც ის მოდიოდა. ბებია და ბაბუა თავიანთ სოფელში ცხოვრობდნენ, ისევ იმ ძველებურ სახლში, სადაც დღეს ღამე ცვლიდა.

ალექსანდრემ იმ სოფლის კალენდრით მეორმოცე დღეს მიაღწია გაღმა ნაპირს. მოგზაურობა უკვე დამთავრდა და ვეშაპმა ზღვიდან თავი ამოჰყო, უშველებელი პირი ფართოდ დააღო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მუცელში დაგუბებული წყალი ჩანჩქერივით გადმოაფრქვია. წყლის ჭავლს გამოჰყვა ბიჭი და ნაპირზე მოადინა ზღართანი. პირველად რაც მოუნდა, უკან მოხედვა იყო, მაგრამ მისდა გასაკვირად საგულისხმოს ვერაფერს ჰკიდა თვალი. ზღვაზე არც ვეშაპი ჩანდა და არც გემისმაგვარი რამ.

ბიჭი წამოდგა. გუმანით იგრძნო საით უნდა წასულიყო და გზას გაუდგა. ნაპირს იქით, პატარა ფერდობზე რომ აიარა, მის წინ დიდი გალავანი აღიმართა. გალავანს ბიჭმა კარი ვერ უპოვა. დაბნეული ბიჭი გალავნის მახლობლად შეჩერდა, ირგვლივ მიმოიხედა, მაგრამ ძეხორციელი არავინ ჩანდა, რომ რამე ეკითხა. უცებ, ზემოდან ხმა მოესმა:

- უფრო ახლოს მიდი გალავანთან და ის გაიხსნება. სხვაგვარად იქ ვერ შეხვალ.

ბიჭი უხილავის ნებას დაჰყვა და გალავნისკენ კიდევ ერთი ნაბიჯით წაიწია. გალავანი თითქოს გაირღვა, იმხელა ღრმული გაჩნდა, სადაც ადამიანი გაეტეოდა. ის გაუბედავად შევიდა ღრმულში და მეორე მხარეს აღმოჩნდა, მერე უნებურად უკან მოიხედა, უკვირდა, ეს როგორ მოხდაო, მაგრამ გალავანს ღრმული უკვე აღარ აჩნდა. ის უცბად ამოვსებულიყო და კვლავ ზვიადად იდგა.

ბიჭის თვალწინ საოცარი ნათელი სივრცე გადაიშალა. ბიჭი დაიბნა, აქეთ - იქით მიმოიხედა, მაგრამ ვერაფერს მოკრა თვალი. ის მხოლოდ რაღაც უჩვეულო ნათელს ხედავდა, ეს სინათლე კი იმდენად ძლიერი იყო, რომ შეეშინდა,არ დავბრმავდეო; შიშის გამო დახუჭა თვალები, მაგრამ არც ახლა შეცვლილა რამე. ნათელს მაინც მკაფიოდ ხედავდა. ამ დიდ სინათლეში კი არაფერი ჩანდა. გაიფიქრა, რახან ვერაფერს ვხედავ, დავბრმავდიო. არ დაბრმავებულხარ, - გაამხნევა ისევ იმ უხილავმა, ვისი ხმაც ჩაესმოდა ხოლმე. - ის თვალები, რომელიც აქამდე გქონდა, იმ მზის ქვეყნისა იყო, სადაც დაიბადე, ამ მზის ქვეყანაში კი სულ სხვანაირი თვალებიაო საჭირო.

თავი VI

გონისმიერი თვალი

ბიჭი დაღონდა. თუ ვერაფერს ვნახავდი, აქ რატომ მომიყვანეო. - შესჩივლა უხილავს.

- იქ, თქვენთან, სოფელში მხოლოდ ერთი თვალით იყურებით. - აუხსნა უხილავმა.- დანარჩენი მხედველობის უნარები დაჩლუნგებული და დაბრმავებული გაქვთ. უხორცო სულს უფრო შორს მხედველი თვალები აქვს ვინემ ჩვეულებრივ, ხორციელ თვალებს. არის კიდევ გონისმიერი თვალები. ის ზოგჯერ, თქვენდა უნებურად გაგიბრწყინდებათ და ისეთ რამეს დაგანახვებთ, რომლის არსებობაც აქამდე აზრად არ მოგსვლიათ.



იმ გონისმიერი თვალებით ქმნიან მხატვრები შედევრებს, იმ გონისმიერი თვალებით წერენ პოეტები ლექსებს, კომპოზიტორები - მუსიკას, იმ გონისმიერი თვალებით პოულობენ ახალ აღმოჩენებს მეცნიერები... და როცა ასეთი თვალები წამიერად აგეხილებათ, უნებურად წამოგცდებათ ასეთი ფრაზა: თვალები ამეხილაო. განა აქ ჩვეულებრივ თვალებზეა საუბარი?! ჩვეულებრივი თვალები ხომ მუდამ გახელილი გვაქვს და ეს ჩვეულებრივი ამბავია. მე აგიხელ იმ თვალებს, რომელიც ამ მზის ქვეყანაში ყველაფერს თუ არა, ბევრ რამეს დაგანახვებს. აქ რომ ვერაფერი იხილე, გეგონა დაბრმავდი, ნუ გეშინია. არ დაბრმავებულ ხარ, ოღონ ეგ არის, ამ მზის ქვეყანაში სხვანაირად ხედავენ და სანამ ამ მზის თვალებს ჩაგიდგამდე, შენ რომ ახსენე იმ სიბრმავეზე გეტყვი ორიოდ სიტყვას; სამი რამ იწვევს კაცთა სიბრმავეს;

ე ჭ ვ ი,
ს ი ხ ა რ ბ ე
და ს ი ძ უ ლ ვ ი ლ ი.

შენ არცერთისგან თავისუფალი არა ხარ და ამიტომაც ვეღარ იხილე ვერაფერი ამ მზის ქვეყანაში. რახან აქ მოგიყვანე; გაგიხსნი იმ თვალისჩინს, რომელიც დახურული გქონდა და დაინახავ იმას, რაც აქამდე ზღაპრადაც არ მოგისმენია. შენ ახლა სხვა დროში ხარ და სხვა მზის ქვეყანაში. შენ ღვთის რჩეული გახდი. უნდა იხილო კაცობრიობის შორეული

მომავალი, რომელიც ბიბლიაში „ახალი ცის და ახალი მიწის“ მინიშნებით არის ჩაწერილი.

ესა თქვა უხილავმა და ხელისგულებით თვალები მოუსრისა. ალექსანდრემ თვალი გაახილა და მშვენიერი ვრცელი მინდორი იხილა, რომელიც ათასგვარი ფერადი ყვავილებით იყო მოქარგული. მინდორზე ფრთებმოხატული პეპლები დაფარფატებდნენ, ზემოდან კი იისფერი ცა დასცქეროდა მიდამოს, რომელიც თვალისმომჭრელად კაშკაშებდა, მაგრამ ალექსანდრემ ვერ გაარკვია თუ საიდან იღვრებოდა მიწაზე შუქი, ვინაიდან მოწმენდილ ცაზე მზე არსად ჩანდა. არადა, მისი ვარაუდით შუადღე უნდა ყოფილიყო. ღრუბელი ხომ არ ფარავსო მზეს,- გაიფიქრა უნებურად, მაგრამ ღრუბლის ნაფლეთიც ვერ შენიშნა, შორს ლამაზი გორაკი მოჩანდა და ისიც იმ გორაკისკენ წავიდა.

- სად ვარ? - ჰკითხა საკუთარ თავს.

პასუხი არავინ გასცა. არც შინაგანი ხმა იძლეოდა, რაიმე ნიშანს. ყველაფერი დუმდა და ირგვლივ მყუდროება სუფევდა.

- სად ვარ? - ისევ გაიმეორა ჩურჩულით ბიჭმა.

- ეს მშობლიური ქვეყანაა! - მოესმა უხილავის ხმა. შენი ზეციური ქვეყანაა, რომელიც ახალი ცისა და ახალი მზის ქვეშ სამომავლოდ შექმნა უფალმა.

„ნუთუ სამყაროში მეორე მშობლიური ქვეყანაც არსებობს“... - გაიფიქრა ბიჭმა.

- ამის შესახებ არავინ იცის. - უთხრა იდუმალმა

ხმამ. - ჯერ მიწიერი ქვეყანა არსებობს მხოლოდ.

- აბა, ახლა რასაც ვხედავ ეგ სიზმარია?

- არა. სიზმარი ვერ მოწვდება აქაურობას. სიზმარი ახლოს ტრიალებს ჩაძინებული ადამიანის ლოგინთან. ჩვენ სხვა სამყაროში შემოვედით, რათა შენ ნახო სხვა ყოფიერება, სხვა შინაარსი ცხოვრებისა და რაც მთავარია, შეიცნო სრულყოფილი სიკეთე, რისი მადლითაც უნდა იარსებოს ძეხორციელმა მომავალ ცხოვრებაში.

დედამიწა, საიდანაც შენ წამოხვედი, დასაწყისია ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი უსასრულო გზისა. რასაც აქ ნახავ, უნდა დაიმახსოვრო. მალე უკან დაბრუნდები და თან წაიღებ ამ ცოდნას. შენ სულ სხვანაირი უნდა გახდე, ასეთია ღვთის ნება. აქედან წასულს იმ მიწიერ სამყაროში ყველაზე მეტად გეცოდინება

რა არის სიკეთე და რა არის ყველაზე უფრო ძვირფასი განძი ადამიანისათვის.

- თუ მე ახლა ზეციურ ქვეყანაში ვარ, იქნებ გამიმხილოთ როგორია იგი და რა საზღვრებშია მოქცეული?... გაუბედავად ჰკითხა ბიჭმა.
- „სიმცირეს მივსტირით მუდამ“, დაიჩივლა თქვენმა მწერალმა. სიძულვილი და ქიშპობა საზღვრებს ამოკლებს. გიჭირთ ერთმანეთის ატანა და გატანა ადამიანებს. შური თუ ვერ დაძლიეთ, ვეღარ დაიბრუნებთ იმას, რაც დაკარგეთ. რასაც მიწიერ ქვეყანაში ვეღარ მიაღწევთ, ის ვერ აღსრულდება ზეციურ ქვეყანაში. დაკარგულს სიყვარული აღადგენს და იბრუნებს. ომებით მოპოვებული, ომებითვე იკარგება. სიყვარულით მოპოვებულს კი ვერაფერი სძლევს. ოდესმე დიდი იყო თქვენი სიყვარულის არეალი და ამიტომაც წვდებოდით შორ მანძილებს. უამრავი მტერი გყავდათ, მაგრამ ვერც ერთმა ვერ შეძლო თქვენი დამონება. მხოლოდ თქვენ დაამარცხეთ ერთმანეთი, დათითოკაცდით და დაუძლურდით. სიძულვილი თუ ვერ დაძლიეთ, ახალი მზის ქვეშ ადგილს ვერ იპოვით. მიწიერი ცხოვრება თაობათა სულის წრთობაა. მიწიერი ცხოვრება ადამიანთა გამოცდაა, წარმავალიდან მარადიულზე გადასვლაა. მიწიერ ყოფაში ბავშვი ყველაზე სრულყოფილი არსებაა, ვინაიდან მას ჯერ არ აქვს ბოროტებისა და სიკეთის შეცნობის უნარი. ამ ცოდნის მიღების შემდეგ მას უჩნდება უამრავი სურვილი; უჩნდება მუდამ

რაღაცის შეძენის, დაუფლების ვნებები. სული მისი ხდება საწყაული აღუვსებელი. შენც დაგიდგა ჟამი ბოროტებისა და სიკეთის შეცნობისა. ბოროტებად დამშეული მგლები მოგევლინა, რომლებმაც ცხვრები შეგიჭამა და შენ უკვე აღარ იცი რა გზას დაადგე, როგორ იცხოვრო ან როგორ გაუმკლავდე წარმავალი ყოფის გამოცანებს. შენ დანაღვლიანდი, იტირე და ღმერთს შეევედრე, რომ გეპოვა გზა

ხსნისა. ღმერთმა შეისმინა შენი ვედრება და ახლა აქა ხარ მასთან ახლოს, ოღონდ აქ დიდხანს ვერ დარჩები, დაბრუნდები უკან და წაიღებ იმას, რის წაღებასაც შეძლებ. ღმერთმა თვალი აგიხილა, დანარჩენი კი შენზეა დამოკიდებული. ყველაფრის პასუხი აქ არსებობს. შენ ისევ და ისევ იმეორებ გულში იმ კითხვებს, რომელზედაც ჯერაც პასუხი არ მიგიღია: რატომ შეჭამა მგელმა ცხვარი? რატომ დაპატარავდა ჩემი ქვეყანა? რატომ ემტერება მდინარის გამოღმა მცხოვრები მდინარის გაღმელს? რატომ ემალება ღამურა მზის სინათლეს? რატომ ვერ ჯდება მწყერი ხეზე? რატომ ეშინია სპილოს პატარა თაგვის? რატომ დაწვეს კოცონზე ჯორდანო ბრუნო, როცა იგი სიმართლეს ამბობდა? რატომ არ ივსება ზღვა, როცა ყველა მდინარე მას უერთდება?...

არც ისე პატარა ხარ თუკი ამდენი კითხვა გებადება. დიახ, ყველა კითხვის პასუხი აქ არსებობს, „სხვა მზის ქვეყანაში“.

ახლა კი წამომყევი და დაგანახვებ ყველაფერს, რისი ნახვაც შენი მზის ქვეყანაში შეუძლებელია. გაიგონებ ყვავილების ენას, ჩიტების საუბარს, ნიავის ჩურჩულს, აქაური ცხოველების არსებობის წესებს. შეიცნობ მთის კანონებსა და ტყეთა დუმილის საიდუმლოებას...

თავი VII

სრული იდილია

ბიჭმა იგრძნო, რომ აქ ყველაფერი ცოცხალი იყო. ყველაფერს თავისი სული გააჩნდა და შეეძლო ერთმანეთთან ურთიერთობა. ახლა ბიჭის სოფელში შუა ზაფხული იყო, აქ კი ვერ გაერკვია წელიწადის რომელი დრო იდგა. ის ჯერაც ვერ შეეგუა იმ სინამდვილეს, რაც მის გარშემო სუფევდა. იდუმალი ხმა ჩააგონებდა, რომ ახლა „სხვა მზის ქვეყანაში“ იმყოფებოდა და ის ცოდნა, რომელიც თავისი სოფლიდან მოჰყვებოდა ამ სამყაროში სრულიად გამოუსადეგარი იყო. წარმავალში დრო მბრძანებლობდა, მარადიულში კი დრო აღარ არსებობდა. იქით ყველაფერი ცვალებადი იყო, აქ კი არაფერი იცვლებოდა.

ბიჭმა ხეზე წითელი ვაშლი შენიშნა. არ შიოდა, მაგრამ მაინც მოწყვიტა, უნდოდა აქაური ხილისთვის გემო გაესინჯა. ნაყოფი პირთან მიიტანა და მოკბეჩა დაუპირა, მაგრამ ვაშლი ისეთი მკვრივი აღმოჩნდა, კინაღამ კბილები ჩაემტვრა.

- ეგ რა ჰქენი ბიჭო? - გაკვირვებით ჰკითხა ვაშლმა. - შენს სოფელში ხომ არ გგონია თავი? ამ ვაშლის გემოს, მხოლოდ მაშინ გაიგებ, როცა დაყნოსავ.

დაყნოსა თუ არა ალექსანდრემ ვაშლი, საოცარი

სურნელება იგრძნო; ძალა და ენერგია შეემატა, მერე ნაყოფი ხელიდან გაუვარდა და ისევ იმ ტოტის ყუნწს გამოება, საიდანაც ბიჭმა მოწყვიტა.

ბიჭი უჩვეულო სიმსუბუქეს გრძნობდა. თითქოს რაღაცა აკლდა და იმ ვაშლის სურნელებამ შემატა. „გულს გული იცნობს და ღონეს ღონეო“, - ასეთი გამოთქმა ბევრჯერ გაეგონა თავის სოფელში, მაგრამ აქ სხვანაირი ყოფა იყო - გულითა და ღონით ვერაფერს შეიცნობდი და ვერც ვერაფერს განასხვავებდი ერთმანეთისაგან. ეს იყო სულიერების ქვეყანა. აქ სული მბრძანებლობდა - უკვდავი სული და ყოველი საგნის თუ არსების სული ერთმანეთს მშვიდად ერწყმოდა, სრულ იდილიას ქმნიდა.

თავი VIII

ბუნების ენა

ბიჭს უკვირდა, როცა დაჭირდა ვაშლმაც ხმა ამოიდგაო.

ცოტა რომ გაიარა, ბიჭის თავს ზემოთ ფრინველებმა იწყეს ფრენა. ისინი თითქოს ცეკვავენო, წრეს უვლიდნენ, ფრთების მსუბუქი რხევით დასრიალებდნენ ჰაეროვან სივრცეში. ჭიკჭიკებდნენ, ხმაურობდნენ და ბიჭმა თავისდა გასაკვირად, მათ ენაზე ნათქვამიც გაიგო. გავამხიარულოთ ეს უცხო პლანეტელი ბიჭი. - ერთმანეთს ეუბნებოდნენ ფრთოსნები.

ბიჭს, თითქოს რაღაც მოაგონდაო, უცბად შეყოვნდა. უკან მოიხედა იმ ვაშლის ხისკენ, საიდანაც ამასწინათ წითელი ნაყოფი მოწყვიტა; იფიქრა პატარა ტოტს მოვაჭრი და სოფელში დაბრუნება რომ მომიწევს, ამ ტოტს ჩვენებურ ვაშლზე დავამყნობ და იქაურობას სურნელებით დავატკბობო. დაბრუნდა უკან და ტოტის შერჩევა დაიწყო, მაგრამ უეცრად ტოტი აქანავდა. იმ ტოტზე გამოსხმულმა ნაყოფმა კი კვლავ ამოიღო ხმა:

- ცდები ჩემო კარგო! ამ მზის ქვეყნის ხეს, თქვენს მზის ქვეყანაში ვერ გაახარებ...

ბიჭმა მაღლობი გადაიარა და მის თვალწინ მწვანე ბალახით დაფარული ვრცელი მინდორი გადაიშალა. მინდორს მარჯვნივ ტყე ესაზღვრებოდა, ხოლო ოდნავ აქეთ, მინდორსა და ტყეს შორის, პატარა ანკარა წყარო მოედინებოდა, მინდორზე სხვადასხვა ჯიშის ცხოველები მიმოფანტულიყვნენ და ბალახს ძოვდნენ. აქ იყვნენ ირმები, კამეჩები, ცხვრები და...

ჰოი, საოცრებავ! ბიჭმა ცხვრების ახლოს მგლებიც შენიშნა. ბიჭი უნებურად შეჩერდა. ერთხანს უძრავად იდგა და გაოცებული შესცქეროდა მგლების ხროვას... მისთვის ყველაზე გასაკვირი ის იყო, რომ მგლები ცხვრებს ყურადღებას არ აქცევდნენ და ცხვრებივით ბალახს ძოვდნენ; ბალახის მძოველი მგლების შესახებ ზღაპარშიაც არ ჰქონდა გაგონილი. უნებურად გაახსენდა სოფელში ერთი ხანდაზმული ადამიანის ნათქვამი: მოვა დრო, როცა მგელი და ცხვარი ერთად ძოვდესო. თურმე ის დრო აქ დამდგარა, „სხვა მზის ქვეყანაში“, იქ, სოფელში კი სულ სხვა დრო მეფობდა - მრისხანე და ულმობელი.

- ჰეი, პუტკუნა! - დაუძახა მგელმა დედალ ცხვარს.

- რა იყო, ნათლულო! - მიუგო პუტკუნამ. (თურე მომხდარა საოცრება და ცხვარს მგელი მოუნათლავს).

აქეთ წამოიყვანე შენი კრავები. წყაროს პირას უფრო ნოყიერი ბალახია. - ურჩია მგელმა ცხვარს.

კიდევ საკმაო მანძილი რომ გაიარა, ბიჭმა ვეფხვები, ლომები და ირმები შენიშნა. ლომთაგან ზოგი ბალახს ძოვდა, ზოგი მდელოზე წამოწოლილიყო და ისვენებდა. განცალკავებით წამოწოლილ ლომთან კუნტრუშით მივიდა შველი და გვერდით მიუწვა, მერე ჩლიქებით ფაფარი აუჩეჩა. ეტყობოდა, რომ მასთან თამაში სწყუროდა. ლომმა პატარას ხათრი ვერ გაუტეხა, ცოტა ხანს აკოტრიალა მდელოზე და მერე მშვიდად მიუგო: - გეყოფა თამაში, ახლა დედიკოსთან წადი და ძუძუ მოწოვე.

თავი IX

იდუმალი ხმა

ამ მზის ქვეყანაში ადამიანებს ვერ ამჩნევდა ბიჭი. დადიოდა და ეძებდა მაგრამ, რომ ვერ პოულობდა, ძალზე დამწუხრებული იყო. სურდა ვინმესთან გასაუბრება და ამ საოცარი ქვეყნის შესახებ მეტი ამბების გაგება.

- რამ დაგაღონა ჩემო ბიჭო? - ჩაესმა იდუმალი ხმა.

- კაცთაგანს ვეძებ და ვერავის ვპოულობ. წამიყვანე იქით, სადაც ისინი ცხოვრობენ. - მიუგო ბიჭმა.

- ვერ წაგიყვან, ჩემო პატარა ბიჭო. - ჩაესმა ისევ იდუმალი ხმა. სამწუხაროდ, ადამიანები ჯერ აქ არ არიან.

- რატომ?! - გაიკვირვა ბიჭმა.

- დააგვიანეს მოსვლა.

- როდის მოვლენ?

- ო,ო,ო... ამას დიდი დრო დაჭირდება, ძალიან დიდი...

- ოდნავ გასაგონი ხმით მიწვდა ეს ბუნდოვანი და გაუგებარი აზრი ბიჭის ყურთასმენას. ბიჭს მეტი შეკითხვა არ მიუცია, მაგრამ წამოწყებული საუბარი თვითონვე განაგრძნო იდუმალმა ხმამ:

- ადამიანებს დიდი დაბრკოლებები შეექმნათ. ისინი დემონებმა აცდუნეს და სულ სხვა მზის სიყვარული გაუჩნდათ,, იმ ცვალებადი მზისა, რომელიც ზოგჯერ

თბილია, ზოგჯერ გაუსაძ-ლისად ცივი და ზოგჯერ კი აუტანელი სიცხის მომგვ-რელი... თავდაპირველად ადამიანებს დიდი მადლი ებოძათ ღვთისგან. ღმერ-თმა ისინი სამოთხის ბაღ-ში დაამკვიდრა, მაგრამ მალე განუდგნენ ზეციერ მამას. ათასგვარი ვნებები გაუჩნდათ და შეერყვნათ სიწმინდე - ღვთის ნაბოძე-ბი სული... ახლა სანამ სა-კუთარ თავზე და ეშმაკზე არ გაიმარჯვებენ, ვერ მოაღწევენ ამ მზის ქვეყნამდე...

- ცხოველები საიდან გაჩნდნენ ამ სიწმინდეში?

- ცხოველები უფრო ადრე გარდაიქმნენ საამქვეყ-ნოდ, რადგან მათ არ გააჩნდათ შურის, პატივმოყვა-რეობის, ამპარტავნობის, სიძულვილის გრძნობა; ისი-ნი არ აშენებდნენ, მაგრამ არც ნგრევა შეეძლოთ. მათი ცხოვრება არსებობისთვის ბრძოლა იყო მხოლოდ. მარტივი ჰქონდათ ბრძოლის ხერხები და საშუალება-ნი: ძლიერი ამარცხებდა სუსტს! და მათ არსებობაში ეს წესი არასდროს შეცვლილა, საკუთარი ძალ-ღონის გარდა არაფერი გააჩნდათ სხვათა დასაძლევად. ადა-მიანებმა კი დემონის შთაგონებით ღმერთს მოპარეს ცეცხლი და იმდენად გააღვივეს ეს ცეცხლი, მთელს დედამიწას დაღუპვით დაემუქრნენ... ამიტომ არ არი-ან ჯერ „სხვა მზის ქვეყანაში“ ადამიანები.

თავი X

ცხოვრების სხვა წესები

რადგან შეუძლებელი იყო ცხოველებისათვის შურის, პატივმოყვარეობის, ამპარტავნობის და ადამიანებისთვის დამახასიათებელი სხვა მანკიერი თვისებების შეძენა, ღმერთმა ხელის ერთი მოსმით ვეგეტარიანელებად აქცია ისინი და მაშინვე გაქრა მათი მძინვარება და ერთმანეთისადმი ძლევის სურვილი. ისინი ადვილად გაკეთილშობილდნენ და მიიღეს „სხვა მზის ქვეყანაში“ გადასვლის უფლება, ოღონდ მიუხედავად იმისა, რომ ჰპოვეს სიმშვიდე, ვერასდროს ამაღლდებიან სულიერად, ვინაიდან ღმერთმა ადამიანი შექმნა თავის ხატებად. ადამიანი კი დაკარგული სამოთხის მოსაპოვებლად საკუთარ თავში უნდა შეებრძოლონ იმ მანკიერებას, რაც თვითეულ მათგანში სატანამ ჩადო. ეს პროცესი კი ხანგრძლივია და ძალზე მტკივნეული.

ბიჭი გაურკვეველი მიმართულებით მიდიოდა და ისმენდა უხილავი მოძღვრის ხმას, რომელიც დინჯად უხსნიდა „სხვა მზის ქვეყანაში“ დამკვიდრებული ცხოვრების წესებს, რათა უკან, თავის სოფელში დაბრუნებულს ბევრი რამ შეეცვალა ადამიანთა ურთიერთობებში და ახლებურად ჩაეხედა

დამკვიდრებული ადათ-წესების არსში.

- რა უნდა მოხდეს მომავალში? - ახლა საკუთარ თავს ეკითხებოდა ბიჭი და თავის მიერ დასმულ კითხვას თავადვე პასუხობდა:

- მოხდება ის, რომ მგელი არ შეჭამს ცხვარს... არ იქნება დევნა, შიში, სიძულვილი, მტრობა. დამკვიდრდება მშვიდობა და თანხმიერება, საბოლოოდ ბოროტებას სძლევს სიკეთე...

თავი XI

საჭანის ხმა

ფიქრებში გართულმა ბიჭმა, მოულოდნელად გულის არეში მტკივნეული ჩხვლეტა იგრძნო და ამ ტკივილმა თითქოს თავის ქალის შიგნით, ტვინის ხვეულებში შეაღწია, ბიჭმა ვერ გაარკვია თუ რა ხდებოდა მის არსებაში. ერთი კი ცხადი იყო, რომ რაღაც ძალამ შეაქანა, ტკივილი მოჰგვარა და გონება დაუბნელა.

- რას ამბობ ცოდვილო, ყველა კეთილი რომ გახდეს, წარმოგიდგენია რა უნიათო და მოსაწყენი გახდება ცხოვრება? - ეს ხმა სულ სხვა მხრიდან მოდიოდა, თითქოს უფსკრულიდან ამოსძახა ვიღაცამ.

ბიჭი მიხვდა სატანა ჩააგონებდა ამ ბნელ აზრებს, მაგრამ საიდან უნდა შემოეღწია

„სხვა მზის ქვეყანაში“ ბოროტებას?

- ის შენში იმალებოდა და შენ შემოგყვა. - გამოეხმაურა პირვანდელი იდუმალი ხმა. - სატანა მალულად თან დაგყვება ყველგან და ცდილობს შეგაცდინოს, ამიტომ ფრთხილად უნდა იყო. გახსოვდეს, აქედან რომ წახვალ, ის უფრო შეუპოვრად შეგებრძოლება... აქ შენი ყოფნის ჟამი ამოიწურა. ახლა ისევ სოფელში დაბრუნდი და ჩვეულებრივი ცხოვრება გააგრძელე. მომავალი ჟამიდან ისევ უკან, შენს დროში მოგიწევს გადასვლა, მაგრამ შენ უკვე ნახე საით უნდა წავიდეს ადამიანთა მოდგმა, რანაირი უნდა იყოს ის და რა ცხოვრებით უნდა იცხოვროს მომავალში. ბოროტება რომ დამარცხდება, არ იქნება სიკვდილი, წუთისოფელი გადავა მარადისობაში. ცოდვამ სიკვდილი შობა, სიკეთემ უკვდავება. რა არს სიკეთე? სიკეთე სიყვარულია!...

თავი XII

დაბრუნება

ბიჭი გალავანთან მივიდა. ის შინ ბრუნდებოდა. გალავანი გაიხსნა და ისიც გარეთ აღმოჩნდა. უკან დარჩა „სხვა მზის ქვეყანა“ და ის თანხმიერების ველი, რომელიც მან იხილა. თუ გალავნის შიგნით იდილიური სიმშვიდე სუფევდა, აქ ქარი ამოვარდა. ბიჭს ეგონა ისევ ის უცნაური ზღვის ცხოველი გაიყვანდა გაღმა ნაპირზე და იქითკენ გასწია, საიდანაც ზღვა ეგულებოდა, მაგრამ იდუმალმა ხმამ შეაჩერა:

- დაუცადე ქარის ბედაურს! ამ სამყაროში იმავე გზით არაფერი ბრუნდება. შენს სოფელში ქარის ბედაური დაგაბრუნებს...

დაბრუნდა ბიჭი თავის სოფელში. მან არც კი იცოდა თუ რამდენი ხანი დაჰყო „სხვა მზის ქვეყანაში“. ნაცნობ მთებს მიაპყრო მზერა და ნელი ნაბიჯით გაუყვა გზას შინისკენ. ქარის უბელო ბედაურმა სოფლის თავთან ჩამოსვა და მერე თვითონ სადღაც გაქრა. ბიჭმა დიდი მუხის ქვეშ, ვიღაც შავებში ჩაცმული ჭაღარაწვეროსანი კაცი შენიშნა. არასოდეს ენახა იგი ამ სოფელში.

- შენ ის ბიჭი ხომ არა ხარ, რომელსაც მთელი სოფელი დაეძებს? - ჰკითხა შაოსანმა კაცმა ბიჭს.

ბიჭი შეყოვნდა. ალბათ მე მეძებენო, - გაიფიქრა ანაზდად. შაოსანი ბიჭის პასუხს არ დაელოდა. - დიახ, ის დაკარგული ბიჭი შენა ხარო. - უთხრა და თვალებში გამომცდელად შეხედა.

-სად იყავი ამდენი ხანი? - ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ჰკითხა მოხუცმა. - გეტყობა შორიდან მოდიხარ...

- ჰო, ძალიან შორიდან ... - მიუგო ბიჭმა.

- შენი ბაბუა და ბებია შეშინებული არიან. კითხულობენ, რა მოუვიდაო. შენი დაკარგვის მერე ძალიან ცუდ დღეში ჩავარდნენ. რაც ცხვრები ჰყავდათ, ყველა მგლებმა შეუჭამეს. ახლა სხედან მშიერ - მწყურვალე და განმკითხავი არავინ ჰყავთ. აქ დიდი გვალვები იყო და მოსავალი ძალზე შემცირდა. სოფელს შიმშილობა ელის. აქაურები შენზე ძალიან გაბრაზებულები არიან. მოხუცები უპატრონოდ მიატოვაო, სადღაც დახეტიალობს და არავის დარდი არა აქვსო...

თ ა ვ ი XIII

საიდუმლო განძი

- თქვენ ვინ ბრძანდებით? - მოულოდნელად ჰკითხა ბიჭმა.

- მე ბერი ვარ და აქედან სამიოდ ვერსის მოშორებით პატარა მღვიმეში ვცხოვრობდი. ახლა სხვაგან მივდივარ, სხვა მღვიმეში... რადგან შორი გზიდან ხელცარიელი ბრუნდები, ერთ საიდუმლოს გაგანდობ, რომლის საიდუმლოება შენს ცხოვრებას ძირფესვიანად შეცვლის. კარგად რომ იცხოვრო, ამისთვის ფულია საჭირო. მე მეგულება დიდი განძი. ჩვენ, ბერებს გვეკრძალება გამდიდრება თორემ იმ განძს ჩემთვის მოვიხმარდი. მე მაინც ბებერი ვარ და მალე წავალ ამ წუთისოფლიდან. შენ კი ახლა იწყებ ცხოვრებას. აგერ, ნაცრისფერი გორაკი რომ მოჩანს, იმის ძირას წყარო ამოდის მიწიდან. წყაროსთან ლოდი დევს. არც ისე დიდია ის ლოდი, გადააგორე როგორმე და მიწას ოდნავ რომ ამოთხრი, ოქრო - ვერცხლით სავსე

ქვევრებს იპოვი. არავის გაანდო ეს საიდუმლო. ჰქენი ისე, რომ მარტო შენ დაგრჩეს ძვირფასეულობა. გამდიდრდები და აქაურობას დაეპატრონები. ყველა შენ დაგემორჩილება. მიწურში რომ ცხოვრობ, ააგებ დიდ სასახლეს, გაიჩენ მსახურებს, გეყოლება უთვალავი ჯოგი, ცხვრის ფარა, ცხენების რემა, თხების არვე... შეირთავ ულამაზეს გოგოს და იცხოვრებ უზრუნველად. შენ ღვთის რჩეული ხარ და ამ დიდ საიდუმლოს რომ გაზიარე, უფლის განგებით ხდება ყველაფერი. წადი ახლა პირდაპირ და ნურსად შეყოვნდები, ნურც შეიამხანაგებ ნურავის.

ბიჭს ამ მოულოდნელი ამბისაგან თავბრუ დაეხვა, ჯერ უნდობლად შესცქეროდა შავებიან კაცს და მერე თანდათანობით გონს მოეგო. იფიქრა, ბერები არ ტყუიანო და სირბილით გაეშურა იქითკენ, საითაც „ბერმა“ მიასწავლა.

ბიჭი თვალს მიეფარა, „ბერმა“ სამოსი გაიძრო და შორს მოისროლა, „ბერის“ შავი კაბა ღრუბლად გადაიქცა

და ქარმა გააქანა გაურკვეველი მიმართულებით. თურმე ის შაოსანი კაცი ეშმა ყოფილა და ბიჭს ბერად მოაჩვენა თავი.

ბიჭი წავიდა თუ არა, მასთან მყისვე გაჩნდა მეორე ეშმა და სულმოუთქმელად ჰკითხა:

- ეგ რა ქენი უფროსო. რატომ ჩაუგდე ხელში ვიღაც გომბიოს ამდენი განძი?

- იცი, საიდან ჩამოვიდა იგი? - კითხვითვე მიუგო უფროსმა ეშმამ.

- ალბათ ჯანდაბიდან...

- არა. ღვთის ნებით მან მოიხილა სხვა მზის ქვეყანა, შეიგრძნო და ეზიარა სიკეთის დაუძლეველ ძალას მან იხილა ის, რაც აქ არ სჯერა ადამიანთა უმრავლესობას. დაბრუნდა ბიჭი სამოთხიდან და ახლა ივლის დედამიწაზე სულ სხვა რწმენითა და შთაგონებით. მას უამრავი მიმბაძველი გაუჩნდება სოფელში, ეს კი ჩვენ დიდ ზიანს მოგვიტანს. მე გავიღე განძი, რათა ვიყიდო მისი სული. ღარიბთა სიხარბეს წინ ვერაფერი დაუდგება. განძს რომ დაეუფლება, გაუჩნდება თავმოწონებისა და ამპარტავნობის სურვილი. ასეთი ყოფა კი უამრავ ცოდვას ჩაადენინებს. ის უნებურად გახდება ჩვენი მსახური...

ბიჭმა იპოვა განძი. ღამით მოიყვანა ურემი, პირთამდე აავსო ოქრო - ვერცხლით, ძვირფასი თვლებით და თავის ეზოში გადამალა.

ბიჭის ნახვით გაიხარეს ბებიამ და ბაბუამ. ლოცულობდნენ და ღმერთს მადლობას სწირავდნენ, რომ დაკარგული შვილიშვილი დაუბრუნა. ბიჭს განძის შესახებ არაფერი უთქვამს.

მეორე დღეს ბიჭმა მთელი სოფელი ფეხით მოიარა.

ყველას ეჩვენა, ყველა მოინახულა, თვითეული მათგანის ამბავი გამოიკითხა. აღმოჩნდა რომ დიდი გვალვებისა და მოუსავლიანობის გამო ნახევარი სოფელი აყრას და სხვაგან გადახვეწას აპირებდა. საძოვრები გადახმა და მწყემსებს ცხვრის ფარა გაუწყდათ. ნადირმაც იმძლავრა, ხშირად ესხმოდა თავს სოფელს და ხალხი გაწამებული იყო.

ბიჭს ახლა უთვალავი სიმდიდრე ჰქონდა და შეეძლო მონებად ექცია მთელი სოფელი. ისინი ყველაფერზე თანახმანი იყვნენ, ოღონდ პური ეშოვათ.

თავი XIV

ბედნიერება

სხვა მზის ქვეყანაში არავინ ცხოვრობდა. ეს საკუთარი თვალით ნახა ბიჭმა. ადამიანები აქ იყვნენ, ამ მზის პლანეტაზე.

ბიჭი საკუთარ თავს ებრძოდა. მას თითქოს შეერყა რწმენა. შინაგანად ორად გაიყო. უკვე აღარ იცოდა როგორ ეცხოვრა. აქამდე ეგონა, მომავლის რწმენით დააპურებდა სულს, ახლა კი როცა დიდძალი სიმდიდრე გაუჩნდა, სხვაგვარი სურვილები აღეძრა. ეშმასაც ეს უნდოდა. სიკეთის გზაზე მყარად დამდგარი ბიჭი ისევ გზაჯვარედინზე დააყენა. ერთი გზა ოთხად იქცა: წინ, უკან, მარჯვნივ და მარცხნივ.

ერთ დროს ყველაფერი თავდება. ერთ დროს სიმდიდრეც გამოილევა. რა იქნება მერე, როცა ყველაფერი გათავდება? რა შერჩება ადამიანს წარსულიდან? მხოლოდ მოგონებები... მოგონებები და მეტი არაფერი! ასეა ამ სოფლად, ხოლო სულ სხვაგვარად არის „სხვა მზის ქვეყანაში“. იქ მწყერი ხეზე ჯდება და ქვევით, მინდორზე მგელი და ცხვარი ერთად ძოვენ.

ბიჭს ის იდუმალი ხმაც აღარ ჩაესმის, რომელიც თან დაყვებოდა შორეთში გადაკარგულს.

ყველამ მიატოვა. ეგ იმიტომ, რომ თვითონ უნდა აირჩიოს საკუთარი გზა. ახლა არავინ არაფერს აძალებს, არავინ არაფერს ურჩევს. სული დუმს გული კი სურვილებითაა სავსე... „სხვა მზის ქვეყანაში“ გადასვლა თუ ლაღი ცხოვრება და სიმდიდრით ტკბობა?!

დიდი შინაგანი მღელვარების მერე, ბიჭში რწმენამ

გაიმარჯვა. მან აირჩია სიკეთე და სიყვარულის გზა. ადგა ერთ მშვენიერ დღეს და მთის ძირას ნაპოვნი დიდძალი განძი სოფლის მაცხოვრებლებს თანაბრად გაუნაწილა. სიკეთემ სიკეთე ამრავლა. ბიჭის რწმენა სხვებსაც გადაედო...

მან იცის, რომ „სხვა მზის ქვეყანაში“ ახლაც ელოდებიან ადამიანებს. მოვა დრო და წარმავალი მარადიულში გადავა. სიყვარულს ღვთის ძალა აქვს. მხოლოდ სიყვარულს შეუძლია ადამიანები მარადიულ ბედნიერებას აზიაროს.

პირველი წიგნის

დასასრული

წიგნი

II

თავი I

დროებითი სიმშვიდე

Oყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ლამაზი მთაგორიანი პატარა სოფელი, რომლის მოსახლეობა ძალზე კმაყოფილი და ბედნიერი იყო მას შემდეგ რაც ალექსანდრემ ნაპოვნი განძი თანასოფლელებს თანაბრად გაუნაწილა, ირგვლივ სიმშვიდემ და მხიარულებამ დაისადგურა. მოისპო სიღარიბე, აღარ იყო შიში და უიმედობა. ხვალინდელი დღის გათენებას ყველანი ღიმილით ეგებებოდნენ, ვინაიდან მათ ჰქონდათ საკმაო სარჩო-საბადებელი და უკვე აღარ ეშინოდათ არც გვალვის, არც ყინვების, არც ქარის და არც ხშირი წვიმების. რადგანაც საშუალება გაუჩნდათ, გლეხებმა ყანებში სარწყავი

არხები გაიყვანეს და ცხელი ზაფხულისთვის თადარიგი დაიჭირეს. მოსახლეობამ გაამრავლა ცხვრის ფარა, ცხენების რემა, საქონლის ჯოგი, თხის არვე... შეიძინეს თოფები, გაწვრთნეს ძაღლები და ამით დააფრთხეს მტაცებელი ცხოველები, რომლებიც აქამდე ხშირად ესხმოდნენ სოფელს და დიდ ზიანს აყენებდნენ.

- მთავარი კი ის იყო, რომ სიმდიდრემ და დოვლათმა სრულიად შეცვალა იქაურობა. ხალხმა იუკადრისა მიწურებში და ქოხმახებში ცხოვრება და თავიანთი ოჯახებისთვის ახალი, ლამაზი სახლების აშენება დაიწყეს. ეს იმ სიყვარულის მადლი იყო, რომელსაც პატარა ალექსანდრე სხვა მზის ქვეყანაში ეზიარა, განიცადა, შეისისხლხორცა და ამ სოფლად ჩამოიტანა. მართალია იქაური ვაშლის ტოტი არ გამოატანა განგებამ, ვინაიდან აუხსნეს, შენი სოფლის ვაშლი სხვანაირია და აქედან წაღებული ტოტი დასამყნობად ვერ გამოგადგებაო, მაგრამ ხომ ჩამოიტანა სიყვარულის თესლი?. ჯერ საკუთარ გულში გააღვივა და მერე მთელ სოფელს გაუნაწილა. უანგარო სიყვარულმა კი თავისი ნაყოფი გამოიღო და აშენდა, გაკეთილშობილდა, აყვავდა აქამდე სიდუხჭირეში ჩაფლული სოფელი.

- სოფლის ამგვარმა გარდაქმნამ ძალზე შეაშფოთა დემონური სამყარო. ბნელ მღვიმეში, უმთვარო და კუნაპეტ ღამეს სატანები სათათბიროდ შეიყარნენ - დაიწყეს ბჭობა, როგორ უნდა დაეღწიათ თავი განსაცდელისათვის,

ისინი ბრალს სდებდნენ იმ სატანას, რომელმაც სხვა მზის ქვეყნიდან დაბრუნებულ ალექსანდრეს გზაში ბერად მოაჩვენა თავი და ძვირფასი განძის ადგილ სამყოფელი მიასწავლა.

- თუ იცი, შენი სულელური ქმედება რომ არა,

ეგ სიღატაკეში ჩაძირული სოფელი ჩვენთვის დღესაც ადვილი სამართავი იქნებოდაო, უსაყვედურა ურჩმა, სპილოს ხორთუმიანმა სატანამ და დასარტყმელად ხორთუმი მოუქნია, მაგრამ მეორემ ხორთუმზე მათრახივით დაჰკრა გრძელი კუდი:

- ჰე, შეჩერდი! - დაუყვირა მან ხორთუმიანს, - მგონი აჯობებს ჯერ ვაცალოთ რას იტყვის და მერე გადავწყვიტოთ, დავსაჯოთ თუ არა?

- აბა, - იმართლე თავი, თუ შეგიძლია! - უთხრა განსასჯელს თხის რქიანმა სატანამ.

- ეს იოლი საქმე არ იყო, განსასჯელი თითქოს სიტყვებს ვერ პოულობსო, შეყოვნდა, აქეთ-იქით აბრიალებდა ცეცხლოვან თვალებს. ბოღმას ვერ ფარავდა და ზიზღით შეჰყურებდა მის ირგვლივ მიწაზე ჩამომსხდარ დემონებს.

- ვაი, თქვენს თავს, უგუნურებო! - წამოიძახა ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ ბრალდებულმა სატანამ. - რა გეშველებათ, მე რომ არ ვიყო. თქვენი უგუნურობა სარკმელს გაუჭრიდა კუნაპეტ ღამეს, შემოაღწევდა აქ სინათლე და მზის სხივები ისე გააქრობდა ბოროტებას, როგორც სითბო ალღობს თოვლსა და ყინულს, ჩემი მფარველი და დამრიგებელი ის დემონია, რომელიც ერთ დროს ღვთის ანგელოზი იყო და მერე ღმერთს განუდგა. თქვენ ჯერ კიდევ ვერ დამდაბლებულხართ იქამდე. დიახ, სიმდაბლე ჩვენთვის ის არის, რაც ღვთისმსახურისთვის სიმაღლეა. ჩვენ მუდამ უნდა ვილტვოდეთ ქვევით და ქვევით, უფრო დიდი სიბნელისკენ, ვინაიდან იქ არის ჩვენი ძალა და

გენია, რომელსაც ადამიანები ჯოჯოხეთს ეძახიან. სინათლეს არ შეუძლია სიბნელის დამარცხება. ის მას მარადიულად მოსდევს, მაგრამ ვერ ეწევა. საკითხავია ისიც, თუ ვინ ვის მისდევს. ჩვენ, ბნელეთის მოციქულებს, გვგონია, რომ ჩვენ მივსდევთ სინათლეს. დიახ. ის გარბის და ჩვენ უკან მივდევთ! ის ათენებს, ჩვენ ვაღამებთ! უფრო მართლები ჩვენ ვართ. სიბნელე უფრო ბუნებრივი მოვლენაა და უმტკივნეულო. სინათლე რომ გაჩნდეს, რაღაცა უნდა იწვოდეს. სიბნელეს არ სჭირდება არავითარი ენერგია. არ სჭირდება არაფრის წვა და წვალება. ის იყო დასაბამიდან და, რაც თავდაპირველად იყო, ის არის სიმართლე. ისინი სინათლეს სიკეთეს ეძახიან. მე კი სიბნელე დავურიგე, სიბნელის წიგნი შევაჩეჩე ხელში და არა განძეულობა. თქვენ ამას ვერ ხვდებით და ეს სიბეცეა თქვენი. ღარიბნი და არაფრისმქონენი ეძებენ სინათლეს. მდიდარნი კი დუნდებიან და იძინებენ. თვითკმაყოფილნი ჩვენი მონები ხდებიან. მათი იმედები ნივთებზე გადადის: ფული, ოქრო-ვერცხლი

და ქონება ხდება ცხოვრების მიზანი. ღარიბები ერთმანეთს თანაუგრძნობენ, მდიდრები კი ქიშპობენ, ერთმანეთს ეჯიბრებიან. სოფელში დამყარებული სიმშვიდე, რომელმაც თქვენ შეგაშფოთათ, დროებითია. ის დიდხანს ვერ გასტანს, ვინაიდან სიმდიდრე ადამიანებში სხვა გრძნობებს აღძრავს და სხვა თვისებებს დაამკვიდრებს. მე ჩავუყარე საფუძველი დიდ სიბნელეს, რომელსაც ადამიანები შურსა და მტრობას ეძახიან. მათ საღმრთო წიგნში უწერიათ გაფრთხილება: „ნუ დაუყრით ღორებს მარგალიტებსო“. მე ისინი კი არ გავამდიდრე, არამედ მარგალიტები დავუყარე, ვინაიდან ვიცოდი მათი მერყევი თვისებები, სიღატაკის გამო აქამომდე მიძინებული რომ ჰქონდათ. ახლა თანდათან გამოიღვიძებს მათში ის თვისებები, რომლებიც სრულიად სხვაგვარად გარდაქმნის თვითკმაყოფილ სოფელს. აკი დაიწყეს სახლების მშენებლობა და უკვე ერთმანეთს ეჯიბრებიან ვინ უკეთეს საცხოვრებელს აიშენებს; ვინ უფრო მეტ მიწის ნაკვეთს შემოიღობავს... მოითმინეთ და მიუშვით ისინი თავიანთ ნებაზე.

სხვა მზის ქვეყანას მალე დაივიწყებენ. ვერაფერს გახდება სხვა მზის მხილველიც. ისიც ჩაეფლობა წუთისოფლის ჭაობში და ის, რაც სხვა მზის ქვეყანაში იხილა, სიზმრად მოეჩვენება. ნუ გეშინიათ, დემონებო, მე ის განძი ტყუილ-უბრალოდ არ გამიცია.

დაუჯერეს ეჭვმიტანილ სატანას შეკრებილებმა და კმაყოფილი სახით დაიშალნენ.

თავი II

საკანური დვრიტა

ალექსანდრეს უხაროდა თანასოფლელების გამოცოცხლება. აქ უკვე არავინ უჩიოდა სიღარიბეს. ყველას გააჩნდა სარჩო-საბადებელი და ისინი ახლა ცხოვრების უკეთ მოწყობაზე ზრუნავდნენ, მაგრამ მოხდა ის, რასაც ალექსანდრე არ მოელოდა. სოფლის ბოლოს, ახალაშენებულ სახლში ცეცხლი გაჩნდა. ვერაფერი უშველეს მეზობლებმა და ორსართულიანი ვეებერთელა სახლი თვალის დახამხამებაში ფერფლად იქცა. ყველას ეგონა, რომ გაუფრთხილებლობის შედეგად გაჩნდა ხანძარი, მაგრამ სულ სხვას ფიქრობდა დაზარალებული. ის ხმამაღლა გაიძახოდა, სახლი განგებ დამიწვესო. დაზარალებულს ეჭვი მეზობელზე ჰქონდა. შეიკრიბნენ სოფლის უხუცესები და საქმის გარჩევა დაიწყეს, თუმცა საბოლოოდ ვერაფერი დაადგინეს და ეჭვმიტანილს დანაშაული ვერ დაუმტკიცეს, მაგრამ სოფელში ელვის სისწრაფით გავრცელდა ერთხელ აგორებული ჭორი და მყარად გაიდგა ფესვები იქაურ მცხოვრებთა გონებაში. უკვე ბევრს სჯეროდა, რომ ცეცხლი შურის გამო გაჩნდა. ერთმა მეზობელმა მეორე მეზობელზე უფრო დიდი სახლი აიშენა და

თანაც დაიტრაბახა, ჩემი სახლი შენსას ბევრად ჯობიაო. ამის შემდეგ ერთი კვირაც არ გასულა, რომ იმ დიდ სახლს ცეცხლი გაუჩნდა და ნაცარტუტად იქცა.

გაიხარეს სატანებმა. სოფელში უკვე დაიწყო ის, რაც მათ ჩაფიქრებული ჰქონდათ და რასაც უახლოეს თვეებში მოელოდნენ. მათ იცოდნენ, რომ ეს შემთხვევა გამონაკლისი არ იქნებოდა და მოუთმენლად ელოდნენ ახალ-ახალი შავი ამბების გაგებას.

სიმდიდრემ ვერ მოიტანა სიკეთე. ადამიანები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. გაჩნდა შური და მტრობა. ვინც ნაჩუქარი განძი აამოძრავა და სხვებზე უფრო მეტი ქონება შეიძინა, ამპარტავანი და პატივმოყვარე გახდა; სხვებზე აღმატებულად მიიჩნია საკუთარი თავი, პატივი და დიდება მოითხოვა, გაყოყოჩდა, ადამიანთა დამცირება ჩვეულებად ექცა.

ალექსანდრე უკვე აღარ იყო პატარა; გაიზარდა, დავაჟკაცდა. შესახედავადაც მომხიბვლელი გახდა. ცხენზე ამხედრებული სოფლის გზაზე რომ გაივლიდა, გოგონებს თვალი ზედ რჩებოდათ. ცხენიც სანაქებო ჰყავდა ალექსანდრეს. ცოლი შეირთე და ოჯახს მოეკიდეო, - ურჩევდნენ ნათესავები, ახლობლები, მაგრამ ოჯახის შექმნაზე რატომღაც თავს იკავებდა. ჯერ ადრეაო, - იტყოდა ხოლმე. ეტყობა არავინ შეჰყვარებოდა ჯერაც, ამიტომ ერიდებოდა დაოჯახებას. უსიყვარულოდ ეს საქმე არ იქნებაო, - ფიქრობდა გულში. მართალია, სოფელში ბევრი ლამაზი გოგო იყო, მაგრამ ალექსანდრეს არავინ

მოსდიოდა თვალში. სიყვარული ძალად ხომ არ იქნება, მისი გული ვერავინ მოინადირა და ნათესავები ასეთ ახირებას ნაკლადაც კი უთვლიდნენ. ეუბნებოდნენ: ბევრი შენი ტოლები დაქორწინდა, ზოგი უკვე მამაც გახდა, შენ რა გემართებაო. ალექსანდრე ითმენდა საყვედურებს და თავის დროს ელოდებოდა. სჯეროდა, რომ გამოჩნდებოდა ისეთი ვინმე, რომელიც გულს გაუთბობდა, გრძნობებს აღუძრავდა. მაჭანკლებს კი უარით ისტუმრებდა და უსიყვარულოდ ოჯახის შექმნას არ აპირებდა.

ალექსანდრეს ახლა სხვა საზრუნავი და სხვა საფიქრალი გაუჩნდა. გამდიდრებული სოფლელების ეს ბოლოდროინდელი საქციელი გულს უკლავდა. მას შემდეგ, რაც ღვთის წყალობით (განძის პოვნა ღვთის წყალობა ეგონა), სიღარიბე დაძლიეს და სოფელი გაჭირვებიდან ამოვიდა, სულ სხვაგვარ

ყოფას და წესრიგს მოელოდა. ეგონა, სიკეთე სიკეთეს გაამრავლებდა. ადამიანები ერთმანეთს შეიყვარებდნენ და სხვათა მიმართ გულგრილი არ იქნებოდნენ. დრო გავიდა და იმის საპირიპირო მოხდა,

რაც გულით სურდა. ვერ გამოიღო სიკეთემ კეთილი ნაყოფი. თურმე ასეც ხდება: ვერ აღმოაცენებს ჯანსაღი თესლი ჯანსაღ მცენარეს თუ მწირ ნიადაგში მოხვდა. სიკეთეს რომ თესავდა, ნიადაგზე არ უფიქრია.

ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო, რომ იტყვიან, ის ემართებოდა სოფელს. რაც უზრუნველად მიიღეს, ველარ დააფასეს, ველარ შეირგეს და გაითავისეს. ადვილად ნაშოვნმა ქონებამ კი სულ სხვა განცდები გაუღვიძა მათ. პირველ რიგში თანაგრძნობას ვერ შეეგუვნენ. თითოეულმა მათგანმა სხვებზე აღმატებულად მიიჩნია თავი. ყოველ შემთხვევაში ასეთი სურვილი გაუჩნდათ და იბრძოდნენ იმისათვის, რომ სხვებისგან აღმატებულნი და



გამორჩეული ყოფილიყვნენ. ალექსანდრე გრძნობდა, რომ სოფლის ამ გზაზე სიარული მათ უბედურებამდე მიიყვანდა; გაანადგურებდნენ ერთმანეთს და ისევ ღარიბული ყოფა გაუხდებოდათ სანატრელი, რაც განძის პოვნამდე ჰქონდათ.

სოფელს რაც მოელოდა, ეს უკვე გარკვეული იყო დემონებისათვის. ახლა მათ ალექსანდრეს სულიერი მოკვდინება განიზრახეს. მათ უნდოდათ სხვა მზის ქვეყნის მხილველი ადამიანი ფიზიკურად ცოცხალი, მაგრამ სულიერად მკვდარი ჰყოლოდათ. ამიტომ ცდილობდნენ ათასგვარი მახე დაეგოთ მისთვის, რათა რომელიმე მათგანში მაინც გაბმულიყო. თუ ამას მოახერხებდნენ, კარგად უწყოდნენ, რომ სხვა მზის ქვეყანაში ნანახ სიკეთეზე გულს აიცრუებდა, მას ოცნებად მიიჩნევდა და მთელი თავით მიეცემოდა ამქვეყნიურ სიამტკბილობას.

თავი III

რკინის ბედისწერა

სოფელში ამ ბოლო დროს დატრიალებული უსიამოვნო ამბებით დამწუხრებულმა ალექსანდრემ ერთ მშვენიერ დღეს ტყეში გასეირნება გადაწყვიტა. იფიქრა, ცოტას გავივლ-გამოვივლი და გავერთობიო. შეჯდა თავის ბედაურზე და ტყისკენ მიმავალ გზას გაუყვა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიადგა ერთ პატარა მდინარეს, რომელიც სოფელსა და ტყეს შორის გაედინებოდა. მდინარე ისეთი სუფთა და კამკამა იყო, ალექსანდრეს ბანაობა მოუნდა. ცხენიდან ჩამოხტა, ტანზე გაიხადა და მდინარეში თავქვე გადაეშვა. კარგა ხანს დაცურავდა იქით - აქეთ, მერე წყლიდან ამოვიდა და ქვიშიან ნაპირზე გულაღმა გაწვა.

მოულოდნელად თავზე ვიღაც წვეროსანი კაცი დაადგა, ღიმილით მიესალმა და იქვე მახლობლად, ქვიშნარის გასწვრივ, მდელოზე წამოწვა, თავქვეშ ჩემოდნის მაგვარი რაღაც ნივთი, რომელიც თან მოჰქონდა, ამოიდო.

- მხატვარი ვარ. - უთხრა მან ალექსანდრეს. - დავდივარ ბუნების წიაღში და პეიზაჟებს ვხატავ.

- სასიამოვნოა ... - ღიმილით მიუგო ალექსანდრემ.

- ალექსანდრე მქვია. - უთხრა მხატვარმა.

- მეც ალექსანდრე მქვია. - მიუგო ალექსანდრემ.

- სეხნიები ვყოფილვართ რადგან ორივეს ალექსანდრე გვქვია, მხატვარი დამიძახე. აქ საიდან გაჩნდი?

- მეზობელ სოფელში ვცხოვრობ. გასეირნება მომინდა და აქეთ წამოვედი.

- რა მოპრიალებული კანი გაქვთ, ზედ ერთი ხალიც არ გეტყობათ... ერთი შეხედვით თეთრი მარმარილოსგან გამოთლილ ქანდაკებას გავხართ... მე შემიძლია, ტატუირება გაგიკეთოთ, რაც ბუნებამ დაგაკლოთ, ყველაფერი აგინაზღაუროთ. ამ მოპრიალებული კანით ანტიკური ხანის უსიცოცხლო ბიუსტს მაგონებთ. ასეთ ბიჭს თანამედროვე გოგოები ირონიულად უყურებენ, პირში თუ არ უთხრეს, გულში მაინც ექნებათ, ფიქრი ეგ ვიღაც ჩამორჩენილი გლეხუჭა ყოფილაო. ისე კარგად მოგხატავთ, ყველა მზეთუნახავს მოუნდეს თქვენი ჩახუტება... ნუ ყოყმანობთ, შაურსაც არ გამოგართმევ, ჩემთვის სილამაზის შექმნაა მთავარი, გასამრჯელოს სულაც არ დავეძებ.

- მე ღმერთმა ასეთი შემქმნა. ჩემი ამქვეყნად ადამიანად გაჩენა ღვთის ნება იყო. სანამ დავიბადებოდი,

ჩემმა მშობლებმა არ იცოდნენ რანაირი და რა სქესის ვიქნებოდი. ღმერთს შეეძლო, სულაც არ გავეჩინე. მე მისი შექმნილი ვარ. საჭირო რომ ყოფილიყო, ჩემს კანს ღმერთი მოხატავდა და ისე მოხატავდა, რომ დედამიწის ზურგზე ვერც ერთი

მხატვარი მსგავსი სილამაზის შექმნას ვერ შეძლებდა. ადამიანს კანის მოხატულობა არ სჭირდება. ღმერთმა მოხატა გველი. ცივი გონებით რომ დააკვირდე, საოცრად ლამაზია იგი, მაგრამ საშინელ ზიზღს იწვევს, იმიტომ, რომ პირით მომაკვდინებელი შხამი დააქვს და ბუნებით ბოროტია. ლამაზად არის მოხატული ჟირაფი, ვეფხვი, ავაზა... ასევე

ფრინველები და თევზებიც კი, მაგრამ ადამიანი მათზე გონებრივად ბევრად აღმატებულია, ღვთიური სული გამჩენმა მხოლოდ ადამიანს შთაბერა. კანის მოხატვით თავს ვერ გაიუმჯობესებ. პირიქით, მე მგონია, რომ ეს სულის კრიზისის მანიშნებელია; სულიერი დაცემის პირველი ნიშანია. ის მინიშნებები თუ ალეგორიები, რაც შენს სხეულზე გინდა გამოისახო, ჯობია სულით ატარო, შინაგანად გაშიფრო, გაამარტივო ისე, რომ არანაირი შეფარვითი ნახევართქმა არ დაგჭირდეს. რასაც შენ მთავაზობ, ეგ დემონის შთაგონებით ხდება. თუ მხატვარი ხარ, ხატე სიკეთით ტილოზე და არა ადამიანის სხეულზე.

ალექსანდრე ადგა და მდინარეში შევიდა, უნდოდა, წყალი გადაევლო და იქაურობას გასცლოდა. წყლიდან რომ ამოვიდა, უცხო „მხატვარი“ აღარსად ჩანდა, როგორც მოულოდნელად გამოეცხადა, ასევე მოულოდნელად გაქრა. ალექსანდრე უკვე აღარ გახლდათ პატარა ბიჭი და მიხვდა, რომ „მხატვარი“ დემონისაგან იყო მოგზავნილი და მისი ცდუნება ეწადა.

ალექსანდრემ თავისი ბედაურით გზა განაგრძო. მიდიოდა გაურკვეველი მიმართულებით და ეს ახარებდა კიდევაც დემონებს. როცა ადამიანმა არ იცის, სად მიდის და რატომ მიდის იქით, საითკენაც მიდის, სატანები უფრო თამამად აედევნებიან. გართობისა და უმიზნო ხეტიალისას უფრო ადვილად შემოდიან შავბნელი სულები, ვინაიდან, როცა ადამიანის გონებაში მიზანი არ ზის, ამ ცარიელი სივრცის ათვისებას ვერავინ ასწრებს მათ.

ალექსანდრე თავის სოფელში ამ ბოლო დროს

დატრიალებული უბედურებისაგან ძალიან დაზაფრული იყო და რომ დადიოდა, აფორიაქებული სულის დაწყნარება სურდა. სოფლიდან გასული სიმშვიდეს ეძებდა, მაგრამ სად უნდა ეპოვა ესოდენ ნანატრი სიმშვიდე თუ არა ისევ საკუთარ თავში?!.

სანამ საკუთარ თავს დაუბრუნდებოდა, მანამ არ ეშვებოდნენ დემონური ძალები, უჩინრად მოჰყვებოდნენ გვერდით და ცდილობდნენ, როგორმე ეცდუნებინათ, ხიბლში ჩაეგდოთ და მოენუსხათ.

თავი IV

ჯადოსნური ბოლი

დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ ალექსანდრე ერთ პატარა დაბაში შევიდა, მოშიებოდა და იქ სადმე სასაუზმეში გადაწყვიტა წახემსება, მერე ტყეში სურდა გასეირნება. სასაუზმეს მალე მიაგნო. კუთხეში ცარიელი მაგიდა ამოირჩია და მიმტანის მოსვლას დაელოდა. დარბაზი თითქმის ცარიელი იყო. მხოლოდ მარჯვენა მხარეს ერთ გრძელ მაგიდას მისხდომოდნენ ახალგაზრდები და ლუდს სვამდნენ. მიმტანმაც არ დააყოვნა. ბიჭმა ჩაი და ხაჭაპური შეუკვეთა. შემოთავაზებულ ალკოჰოლურ სასმელებზე უარი თქვა და

ბუფეტის დახლზე თავჩამოდებულ მებუფეტეს მიაპყრო მზერა. რომელსაც რატომღაც ღრმად ჩასძინებოდა.

- ვიცოდი, მოხვიდოდი, - ჩაილაპარაკა ვიღაცამ ზურგს უკან და მაგიდას შემოუარა. შუახნის უცხო მამაკაცი მოურიდებლად ჩამოჯდა მაგიდის მხარეს.

- კარგა ხანია, არ გამოჩენილხარ, - უთხრა მან ალექსანდრეს. - ასე არ ივარგებს, ერთხელ თუ მოხვალ, მერე სულ უნდა იარო...

ალექსანდრე გაოცდა. აქამდე აქ არასდროს იყო ნამყოფი.

- ვიღაცაში გეშლებით. -მშვიდად მიუგო ალექსანდრემ. -მე აქ პირველად ვარ.

- არა, მე არაფერი მეშლება. თქვენ ის ხართ.

- ვინ, ის? -იკითხა ალექსანდრემ.

- გახსოვს, დილაადრიან გზაში რომ მიდიოდი და სხვა მზის ქვეყანაში მივდივარო რომ მეხუმრე?

- მახსოვს, მაგრამ ჯერ ერთი- მე არ მიხუმრია და მეორე ის, ვინც მკითხა, სად მიდიხარო, ჩემი მეზობელი იყო და არა შენ...

- რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იყო. ხომ თქვი ის, რაც თქვი. ახლა არ გინდა ისევ იმ ქვეყანაში წაგიყვანო? ვიცი, ძალიან გენატრება იქაურობა.

- შენ როგორ უნდა წამიყვანო. ვინ ხარ?

- ჯერ ეს მითხარი, ხომ გენატრება იქაურობა?

- დიახ...

- ძალიან კარგი! ამჯერად იქით კი არ წაგიყვან,

იმ შენს საოცნებო „სხვა მზის ქვეყანაში“, არამედ აქეთ მოგიყვან იმ პლანეტას, ამისათვის მხოლოდ შენი ნებართვაა საჭირო, მეტი არაფერი.

- ვერაფერი გავიგე. არ ვიცი, რას მეუბნები. - თქვა ამ უცნაური შეთავაზებით გაოგნებულმა ალექსანდრემ.

- ერთხელ ხომ იყავი იქ, სადაც ახლა ყოფნას ნატრობ?.

- დიახ, ვიყავი!

- მე წაგიყვანე მაშინაც.

- ეგ სიცრუეა. ყველაფერი კარგად მახსოვს, როგორ და რანაირად იყო.

- ცდები. ის სიზმარი იყო. შენს ქოხში ღრმა ძილით გეძინა როცა მოგეპარე და ცხვირწინ ჯადოსნური ბოლი ავაკვამლე. შენ შეისუნთქე ის კვამლი და უეცრად მოწყდი მიწიერ სამყაროს. მერე რასაც ხედავდი, ყველაფერი ზმანება იყო. გათენებამდე იყავი ხიბლში ჩავარდნილი, მხოლოდ მაშინ დაბრუნდი მიწაზე, როცა კვამლს ძალა გამოეცალა და აქაური ჰაერი შეისუნთქე... გახდი ჯადოსნური ბოლის მომხმარებელი და შენ მუდმივად იმოგზაურებ იმ „მზის ქვეყანაში“, რომელიც თითქოსდა ღვთის ნებით ერთხელ იხილე და სინამდვილეში კი არსად არ არსებობს, მოწიე და არარსებულის არსებობას ირწმუნებ.

თავი V

იდუმალების გასაღები

ალექსანდრემ მტკიცედ მიუგო.

- მე არ მინდა ვირწმუნო ის, რაც არ არსებობს. მე ვეძებ სინამდვილეს და სიმართლეს. ამისათვის საჭიროა, ვიყო მართალი ღმერთთან და საკუთარ თავთან. ხიბლში ჩავარდნა და თავის მოტყუება ცხოვრების თქვენეული წესია. თქვენებური წესით არსებობას კი ადამიანი იმედგაცრუებამდე და მარადიულ სიბნელემდე მიჰყავს. ჩემი სული ნამყოფია სხვა მზის ქვეყანაში და აწი მას ვერანაირად ვერ აცდუნებ.

- მაგრამ შენი სული ჯერ კიდევ სხეულში სახლობს. სხეული მიწიერია. ის ვერ გადაგყვება სხვა მზის ქვეყანაში. სხეულს კი აქ, ჩემს საუფლოში - მიწიერ სამყაროში უნდა ცხოვრება. მისთვის ყველაფერი, რაც კი მიწიერია, ახლობელია და სასიამოვნო. მას ტკბობა მხოლოდ მიწიერი ვნებებით შეუძლია, რომელსაც მე ვუგზავნი. უსხეულოდ შენ არაფერი ხარ. სხეული შენი არსებობის ერთი მესამედია და თანაც თავდაპირველი. განა არ იცი, რომ შენი არსება სამი ნაწილისაგან შედგება. სხეული, სამშვინველი და სული, აი, ეს არის ის, რასაც ადამიანი ჰქვია.

აქედან სხეული მეტწილად ჩემი მორჩილია. სამშვინველი კი მხოლოდ კავშირია სხეულსა და სულს შორის. მხოლოდ სულია იმისა, რასაც თქვენ ღმერთს ეძახით. აქედან ხომ ჩანს, რომ ადამიანი შუაზეა გაყოფილი და იგი ნახევრად ჩემია. მე მსურს მეორე ნახევარსაც დავეუფლო და ადამიანი მთლიანად ჩემი მორჩილი გახდეს.

- მაგრამ ვერ გადახვალ ღმერთის ნებას. სულს ვერ დაეუფლები.

- მე არ ვებრძვი ღმერთს, რადგან არ შემიძლია, ვძლიო ის. მე გებრძვი შენ, ვინაიდან სწორედ მან დამრთო ნება, რომ გებრძოლო. ის არაფერს გაძალებს და ამდენად შენი ბედი შენვე მოგანდო. ეს იმაში გამოიხატება, რომ გაქვს არჩევანის უფლება და ის არ ერევა შენს მიდრეკილებებში. გებრძვი-მეთქი, რომ გითხარი, არ შეგაშინოს ამ სიტყვამ. მე შენში იმას ვებრძვი, რასაც თქვენ სულიერ ცხოვრებას ეძახით. სული უხილავია და უხილავის სანაცვლოდ მე ხილულს გთავაზობ. უნდა გჯეროდეს მხოლოდ ის, რასაც საკუთარი თვალით ხედავ, ის არის სინამდვილე. ნუ შეიზღუდავ თავს. იცხოვრე მიწიერი ცხოვრებით. თუ მეოცნებე ხარ და გიყვარს სხვა სამყაროში მოგზაურობა, ამისთვის არის მიწიერი საშუალებები... მოწიე „ჩემი თამბაქო" და ჩიტივით იფრენ ცაში, იხილავ უხილავს, გახვალ სხეულიდან და ნუ შეგეშინდება, ისევ დაუბრუნდები შენს გვამს; შეიძლება ვერც მოუბრუნდე, მაგრამ არა უშავს, ერთხელაც ხომ უნდა დატოვო იგი... ჩემს წაყვანილს კი მე არ მივატოვებ. ჩემთან იქნება ღამის ქვეყანაში...

თავი VI

განვედ, სატანავ, ჩემგან!

ვანვედ, სატანავ, ჩემგან! მე არ წავიწყმედ სულს შენი მიწიერი დაპირებებით. იყავი მარტო ღამის ქვეყანაში ღამურებთან ერთად. ღვთის წყალობით მარადიული მზის ქვეყანა რომ ვიხილე, შეგეშინდა ჩემი და ყველგან დამდევ არჩრდილივით. ცდილობ, როგორმე მაცდუნო, ვნებების ჭაობში ჩამძირო, რათა დამავიწყო ყველაფერი ის, რაც ამ ხანმოკლე ცხოვრების კარიბჭის მიღმა არსებობს. ამაოდ ცდილობ, არაფერს მივიღებ შენგან...

- შენ უკვე მიიღე ჩემგან აურაცხელი განძი. გაგამდიდრე და ახლა, ამას ცდუნებას ეძახი?!

- შენ სულის წარსაწყმედად გაიღე ის ოქრო-ვერცხლი. გეგონა, აურაცხელი სიმდიდრის პატრონს, ამპარტავნებისა და მედიდურობის სენი შემიპყრობდა, სოფელზე ვიბატონებდი და მონებად მეყოლებოდა მტერ-მოყვარე, მაგრამ ის სიმდიდრე ღატაკებს დავურიგე, ჩემთვის კი მხოლოდ მცირე, ყველაზე ნაკლები წილი დავიტოვე. ხომ ხედავ, არ გამართლდა შენი ვარაუდი. ბოროტება სიკეთედ იქცა, ამაოდ დაშვრი და ხელი მოგეცარა.

- კარგი. ასე იყოს, მაგრამ ნუ გგონია,

რომ ადვილად მოგეშვები. - ეს თქვა უცხო მამაკაც-
მა და, თითქოს აორთქლდაო, ისე გაუჩინარდა.

თავი VII

ბუნების იდუმალება

ალექსანდრე წამოდგა, ნელი ნაბიჯით გაიარა დარბაზი და გარედ გავიდა. კარგა ხანს იდგა გაოგნებული სასაუზმის კართან, მერე ცხენს მოუხმო, დასახლებული ადგილი დატოვა და ტყეში შევიდა.

ტყეში საოცარი სიმშვიდე დახვდა. ნელი ნიავი ქროდა და ოდნავ ირხეოდნენ მწვანით შემოსილი ხეთა ტოტები. თითქოს ფოთლები რაღაცას ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს. შორიახლო ისმოდა ჩიტების სტვენა და გალობა. მიაყურადა ტყეს ალექსანდრემ და

ვერაფერი გაიგო. სხვა მზის ქვეყანაში კი ყველაფერი ესმოდა.. ფოთოლთა შრიალი, ჩიტების ჭიკჭიკი, წყლის ჩხრიალი... სმენით აქაც ესმოდა ეს ყველაფერი, მაგრამ აქ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ ერთგვაროვან ხმებს გამოსცემდა ყოველივე. იქ კი სხვაგვარად იყო: ალექსანდრეს მათი ენა გარკვევით ესმოდა. ეს წუთისოფელი ისე არ იყო მოწყობილი და იმაზე ფიქრობდა, თუ რა აერთიანებდა იქ ერთმანეთს. - რა ძალამ და რა მადლმა შექმნა ის თანხმიერება, რომელიც იქ, სადღაც უსასრულო შორეთში, სხეულისთვის მიუწვდომელ და მხოლოდ სულისთვის გასაღწევ შორეთში სუფევდა. რა აკლდა ადამიანს აქ იმისათვის, რომ გაეგო ბუნების ენა. მას სწამდა, რომ ბუნება და მასზე არსებული სულიერება, არ იყო გაჩუმებული, ისინი გამუდმებით საუბრობდნენ, რაღაცას უბნობდნენ თავიანთ ენაზე, მაგრამ ადამიანი იმდენად იყო დაშორებული თავის გარშემო არსებულ რეალობას, რომ არაფერი ესმოდა მათი და თავს ხშირად ეულად, სრულიად გარიყულად გრძნობდა. რა აკლდა ადამიანს ამ დიდი გაუგებრობის გასაგებად? - აი ამაზე ფიქრობდა ახლა შუაგულ ტყეში ალექსანდრე და მოულოდნელად მოესმა ის იდუმალი ხმა, რომელიც სხვა მზის ქვეყანაში მიაცილებდა და მერე, აქ დაბრუნებულს ისევ გაუყუჩდა.

თავი VIII

დაკარგული სიყვარული

ადამიანს სიყვარული აკლია! - უთხრა იდუმალმა ხმამ. – განა ადამიანი უსიყვარულოდ ცხოვრობს? - წამოსცდა უნებურად ალექსანდრეს. – ეს არ არის ის სიყვარული, რომელმაც ბუნების ენა გაგიხსნათ. ადამიანთა სიყვარული ნივთების სიყვარულს ვერ გასცდა. აქედან აღმოცენდა სიძულვილი, შური და მტრობა... შენ ვერ გაიგებ ფრინველთა ენას, ფოთლების შრიალს, ვერასოდეს მიხვდები, რას ჰყვება ნაკადული, ადამიანთა ყური ბგერებად ვერ დაშლის ამ ხმებს და ველარ აკინძავს აზრებად. უსიყვარულობამ მოსწყვიტა ერთმანეთს და განაცალკევა ცა და დედამიწა...

– იდუმალი ხმა მიწყდა. ალექსანდრემ მადლობა შესწირა ღმერთს ამგვარი

შეგონებისათვის. მიდიოდა ტყეში და ახლა სიყვარულზე ფიქრობდა. რა არის სიყვარული? პასუხი მრავლად ჰქონდა, მაგრამ მაინც ვერ აკმაყოფილებდა საკუთარი ცოდნა სიყვარულზე. ის გუმანით ხვდებოდა, რომ სიყვარულზე ცოდნა არ არსებობდა. ყველაზე დიდი სიყვარული უცოდინარობაში იყო, ამას კი მიხვდა ალექსანდრე, მაგარმ ის არ იცოდა, თუ როგორ ამაღლებულიყო „უცოდინარობამდე".

– მიდიოდა შუაგულ ტყეში და თავისი სოფელი აგონდებოდა. იხსენებდა, თუ როგორ ებრძოდნენ სიღატაკეს მისი მეზობლები, ახლობლები, მერე იპოვეს დიდი განძი და სიღატაკის ჭაობიდან ამოვიდა მთელი სოფელი. გარკვეული ხნის განმავლობაში მშვიდად ცხოვრობდნენ, მაგრამ მერე მათ სულში აღმოცენდა შური და ღვარძლი; ერთმანეთს დაუწყეს ჯიბრი და ქიშპობა. როცა არაფრისმქონენი იყვნენ, უფრო უყვარდათ ერთმანეთი. სიმდიდრემ და შეძლებამ ცუდი შედეგი გამოიღო. ნუთუ სიკეთე შეიძლება ბოროტებად იქცეს? აი, სანამდე მიგვიყვანს უსიყვარულობა? განა ისინი იტყვიან, რომ უსიყვარულოდ ვცხოვრობთო?! არა და არა! მათ უყვართ თავიანთი სახლი, რომელიც მეზობლის სახლს სჯობია, მათ უყვართ სიმდიდრე, რომელიც შესაძლებლობებს აძლევს, იმოქმედონ ისე, როგორც მოესურვებათ, მათ თავდავიწყებით უყვართ საკუთარი თავი, რომელიც სხვებზე აღმატებულად მიაჩნიათ და არ იციან, თუ რა მოაქვს საკუთარი თავის თავდავიწყებით სიყვარულს.

ალექსანდრე, იმ ნაპოვნ განძს თანასოფლელებს რომ ურიგებდა, ეგონა, ამით სიკეთეს აკეთებდა.

ის მართალი იყო. განა სიკეთე არ არის, როცა ღარიბს ხელს მოუმართავ, უკეთ ცხოვრების საშუალებას მისცემ?! მაგრამ სიღარიბით ჯერ არავინ გაჯიბრებია არავის. ჯერ არავის უთქვამს სიღარიბით ვარ მდიდარიო.

სოფელს ჯერაც ვერ უსწავლია უხილავი, უსაგნო „ნივთით“ გამდიდრება. ძნელია როცა კუჭი კარნახობს გონებას. ასეთ კარნახს გულის ხედვა ინსტინქტებამდე დაჰყავს, ინსტინქტი ბრმაა და მგრძნობელობის იქით ვერაფერს ხედავს. ეს მდგომარეობა კი გზაგასაყარია სიკეთესა და ბოროტებას შორის და სწორედ ამ გზაგასაყარზე სახლობს დემონი, აქ უსაფრდება ადამიანებს.

ამას ყველაფერს გრძნობდა ალექსანდრე და არ იცოდა, თუ როგორ უნდა შეეცვალა ვითარება აწ უკვე სიმდიდრით გაუკუღმართებულ სოფელში. ნუთუ ღმერთი არ ერია იმ განძის პოვნაში და მხოლოდ ეშმაკის სურვილი იყო სოფლის გამდიდრება? არა! ალექსანდრემ იცოდა, რომ ღვთის ნების გარეშე არ იქნებოდა იმ განძის აღმოჩენა, ღმერთმა დაუშვა სოფლის გამდიდრება და ამით გამოსცადა იქაურები, ერთხელ კიდევ შეახსენა უბრალო ჭეშმარიტება: „არა პურითა ერთითა ცხონდება სული".

თავი IX

დაფარული ბილიკი

მიდიოდა შუაგულ ტყეში ალექსანდრე და ირგვლივ ესმოდა ფრინველთა გალობა, ფოთლების ჩურჩული, ნაკადულების ხმაური... იმ მზის ქვეყანაში, სადაც სიყვარული სუფევდა, გასაგები იყო ყველა სულიერის ენა. აქ კი ამაო გახლდათ წუხილი

იმაზე, რომ ვერაფერი გაიგო და ვერც ვერაფერი ამოხსნა. ამ წუთისოფელში ფრინველთა ენა კი არა ადამიანებს არ ესმოდათ ადამიანთა ენა. სხვადასხვა ეთნოსი და ერი, სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობს და ერთ ენაზე მოლაპარაკენიც კი ვეღარ უგებენ ერთმანეთს. ეს კი უსიყვარულობის შედეგია.

ალექსანდრემ რამდენიმე გამოცდას კი გაუძლო, მაგრამ კარგად უწყოდა, რომ წინ კიდევ ბევრი დაბრკოლება ელოდა. აკი განშორებისას კვლავ დაემუქრა ბოროტი სული, ნუ გგონია, რომ ადვილად მოგეშვებით! უცებ კვლავ ის დემონი აღიმართა მის თვალწინ, სასაუზმეში დაუკითხავად რომ მიუჯდა: „სიყვარული იქ არის, სადაც ბოროტება არ იციან. შენ კი ბოროტსა და კეთილს შუა დადიხარ,

სხვა გზა და ბილიკი შენთვის დაფარულია."

ალექსანდრემ გზა განაგრძო. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიადგა ერთ პატარა, მწვანით დაბურულ ბორცვს. ზედ ბორცვზე ვიწრო ბილიკი ადიოდა და ალექსანდრე იმ ბილიკს გაუყვა. გზაზე, საპირისპიროდ მომავალი ვიღაც ნახევრადშიშველი მოხუცი შემოხვდა.

- საით გაგიწევია, ყმაწვილო? -ჰკითხა მოხუცმა.

– იქით მაქვს გზა, – დაუფიქრებლად მიუგო ყმაწვილმა.

– იქიდან აქეთ გამორბიან. ნუ წახვალ, თორემ დაიღუპები.

– რა ხდება იქ? – გაიკვირვა ალექსანდრემ.

– ბორცვს გაღმა დასჯილთა სოფელია, – უთხრა მოხუცმა.

– რატომ და ვინ დასაჯა სოფელი?

– ცოდვების გამო დაისაჯა... თითქმის არავინ დარჩა დაუსჯელი...

– ცოდვა ყველგან მძვინვარებს. რატომ მაინცდამაინც თქვენი სოფელი დაისაჯა, როცა არც სხვაგან ცხოვრობენ უცოდველნი?

თავი X

ლუციანეს სოფელი

მოხუცმა ალექსანდრეს უამბო ის, რაც სოფელს გადახდა...

– ეს ლუციანეს სოფელია. ის აქ ცხოვრობდა. ჩვენ წმინდანი გვეგონა და მასზე ვლოცულობდით. თურმე უდიდესი ცოდვილი ყოფილა და გვატყუებდა.

– მოტყუებულებს ღმერთი არ სჯის. აქ რაღაც გაუგებრობაა... ან ვინ არის ის თქვენი ლუციანე?

– მას სხვაგან ლუციფერს ეძახიან. ერთ დროს უმაღლესი ნათლის ანგელოზი იყო. ჩვენ ისე დაგვიახლოვა, ძალიან გავუშინაურდით

და მოფერებით ლუციანეს ვეძახდით... მერე და მერე მივხვდით, გვატყუებდა, მაგრამ ისე გაგვიტ-კბა მისი სიცრუე, რომ სხვაგვარად არ შეგვეძლო ცხოვრება და თავის მოტყუება ჩვეულებად გვექცა.

როცა მიხვდები, რომ გატყუებენ და მაინც სიცრუეში ამჯობინებ ყოფას, ეს ღვთის გმობაა. ალბათ ამიტომაც დაისაჯა ჩვენი სოფელი სოდომ-გომორივით. დაბრუნდი უკან. იქ აღარავინ და აღარაფერი დაგხვდება ერთი გატიტვლებული ხისა და „ლუციანეს" მიერ ქვისგან გამოთლილი ქალიშვილის ქანდაკების გარდა...

- თუ ყველა დაისაჯა, თქვენ როგორ გადარჩით? - გაიკვირვა ალექსანდრემ.

– იმიტომ გადავრჩი, რომ დასჯილი სოფლის ამბავი ქვეყანას მოვდო. შემიწყალა ღმერთმა და ეს მისია დამაკისრა. შენ კი გირჩევ, გაბრუნდი უკან; დასჯილთა სოფელში რაიმე უბედურებას არ გადაეყარო!

– მშვიდობით, მოხუცო, ალბათ უკან არ დავბრუნდები, სანამ იქაურობას არ ვნახავ! – თქვა ალექსანდრემ და გზა განაგრძო.

თავი XI

იავარქმნილი

ბორცვი რომ გადაიარა ალექსანდრემ, მის თვალწინ აოხრებული ნასოფლარი გადაიშალა. ვრცელი მინდორი ნანგრევებით იყო სავსე. ირგვლივ წაქცეული სახლების ნარჩენები ეყარა, ყანები კი გადატრუსულ - გადამწვარი ჩანდა. დამშრალიყვნენ ფშანები და ნაკადულები. ნასოფლარის შუაგულში მხოლოდ ერთი გაძვალტყავებული, გაშიშვლებული დიდი ხე იდგა, რომელიც გაუბედურებული და სასოწარკვეთაში ჩავარდნილი ადამიანივით მოთქვამდა. გატიტვლებული ხე ხან მამაკაცის, ხან კი დედაკაცის ხმას გამოსცემდა...

ცხენიდან ჩამოქვეითდა ალექსანდრე და ამ მოზარე ხეს მიუახლოვდა.

– ვინ ხარ, ან რა ხარ... ხეს ჰგავხარ და ადამიანივით რომ ტირი? - ჰკითხა გაოცებულმა ბიჭმა.

– მე დიდი ვაშლის ხე ვიყავი, – ის ლაზური ჯიშის ვაშლის ხე, ას წელზე მეტ ხანს რომ ძლებს და უხვად მსხმოიარე რომ არის. ჩემი ჯიშის ვაშლის ხე გადაშენდა. მხოლოდ ამ სოფელს შემოვრჩი ერთადერთი. აღარ რგავენ ჩემს ნერგებს სოფელში, ვინაიდან ნაყოფს ათ წლისაზე ადრე ვეღარ

ვისხამდი. დღევანდელ სოფელს ამდენი მოთმინება აღარ შერჩა და ჩემ ნაცვლად ადრე მსხმოიარე ჯიშებს რგავენ. სულსწრაფობის სენმა გადამაშენა და მხოლოდ მე, ერთადერთი, შემოვრჩი ამ მიწას წარსულის მოგონებად. ერთადერთი რომ დავრჩი...

– აქ უკვე ვეღარ გააგრძელა გატიტვლებულმა ხემ, საოცრად დაიგრიხა, აცახცახდა, თითქოს კრუნ-ჩხვებმა და გაუსაძლისმა ტკივილებმა დაუარესო ტანში. ასე უმოწყალოდ ქანაობდა და იგრიხებოდა კარგა ხანს, მერე, როგორც იქნა, დამშვიდდა, გაშეშ-და და ისევ განაგრძო გოდება: -დიახ, ერთადერთი რომ დავრჩი, სიამაყის გრძნობამ წამძლია. პატივ-მოყვარე და ამპარტავანი გავხდი. ტანმაღალი და განტოტილი, მედიდურად გადავყურებდი სოფელს. ნაყოფიც შევუმცირე ადგილობრივებს. ნაყოფს ხომ შვილებივით გამოკვება და მზრუნველობა უნდა. მე კი მხოლოდ საკუთარ გარეგნობაზე ვზრუნავდი და ფესვებიც იმ საკვებს მიგზავნიდა, რაც ფოთლები-სა და მერქნის მოსავლელად იყო საჭირო. სოფელს მხოლოდ საყვედურებს ვეუბნებოდი: მე ვარ თქვე-ნი დიდი წარსული, რომელიც პატარა ვაშლებზე გა-მცვალეთ. აღარ გჭირდებით? არც მე მჭირდებით! ვიქნები ჩემთვის და მიყურეთ შორიდან, ნახეთ და დატკბით არა ჩემი ნაყოფით, არამედ ჩემი სილამა-ზითა და სიდიადით. მე კი ისღა დამრჩენია, რომ სა-კუთარი თავით ვიამაყო–მეთქი.

თავი XII

მოლაპარაკე ვაშლის ხე

ალექსანდრე იდგა მონუსხულივით გაუნძრევლად და ახსენდებოდა სხვა მზის ქვეყანაში ხილული მოლაპარაკე ვაშლის ხე, რომლის ტოტი იქიდან აღარ გამოატანეს აქაურ ვაშლზე დასამყნობად. სხვა მზის ქვეყანაში ყველაფერი ცოცხალი და მეტყველი იყო. იქ გარკვევით ესმოდა ხეთა ჩურჩული, ფრინველთა და ცხოველთა ენა... აქ კი ბუნება დუმდა, ფრინველები კი ჟრიამულობდნენ, მაგრამ მათი ენა უკვე აღარ ესმოდა, შრიალებდნენ ხეთა ფოთლები, მაგრამ ეს შრიალი არაფრისმეტყველი იყო... ახლა კი, დასაღუპავად განწირული ვაშლის ხის გოდება გარკვევით გაიგო... უკვირდა ამ მზის ქვეყანაში, როგორ მოხდა ის, რაც აქამდე არ მომხდარა, როგორ ამოიდგა ხემ ადამიანური ენა და როგორ მოუყვა საკუთარი უბედურების ამბავი. ალექსანდრემ ქვეცნობიერად იგრძნო, რომ მას და ბუნებას შორის ის ღვთის ანგელოზი ჩადგა, რომელიც სხვა მზის ქვეყანაში ფარულ მეგზურად მიაცილებდა და იდუმალი ხმის მეშვეობით დროდადრო შუამავლად ევლინებოდა.

– გაუგებარია, ორ ხმაზე როგორ შეგიძლია,

მოთქვამდე. გისმენ და ზოგჯერ ქალი მგონიხარ, ზოგჯერ კი კაცი, - თქვა ალექსანდრემ.

– ორივე საწყისი ჩემშია. ასე რომ არ იყოს ნაყოფს ვერ მოვისხამდი. მე ვარ ბუნება, რომელიც გაუთიშავი და განუყოფელია... ამპარტავნობის ბოროტმა ძალამ შუაზე გამყო, მთლიანობა დამირღვია, ბუნებას და ბუნებითობას მომწყვიტა. ცოდვა ჩავიდინე და ცოდვამ გამაშიშვლა, სიშიშვლემ კი გონიერების თვალი ამიხილა, ეს ის გონიერებაა, რომელიც მუდამ იგვიანებს და მხოლოდ ცოდვილის სიშიშვლის დანახვა შეუძლია. მალე სინანულის ცრემლიც დაშრება და, როცა დაშრება, მაშინ მომელის განადგურება, გამშრალი ხე ხმება. აღარ ეყო ჩემი ცრემლები ჩემს გადარჩენას. მკაცრად განვიკითხე დ აღარ ჩანს ღვთის გულმოწყალების სხივი, რომელიც კი არ დამწვავდა კოცონის ალში, არამედ გეენას სითბოთი შემირბილებდა. მარტო ვერაფერს გავხდები. თვითგანკითხვას მხოლოდ სირცხვილის გრძნობის გაღვივება შეუძლია. რომ გადავრჩე და რომ ხელახლა შევიმოსო, უნდა ილოცოს ვინმემ, ნაკლებადცოდვილმა; უნდა ევედროს ღმერთს, რათა შემიწყალოს და მიხსნას განადგურებისაგან. შენ შეგიძლია, დამეხმარო. შენ, რომელმაც ღვთის წყალობით იხილე სხვა მზის ქვეყანა და იქიდან დაბრუნებულმა მრავალ ცდუნებას გაუძელი, რომელსაც არ დაგიკარგავს ღვთის რწმენა და წარმავალ მოჩვენებით სიამტკბილობაზე არ გაგიცვლია წარუვალი და მარადიული.

შეუერთე შენი ლოცვა ჩემს გოდებას და ეგებ შემიწყალოს გამჩენმა...

– გაძარცულო ვაშლის ხეო, მებრალები ასეთ დღეში რომ გხედავ – უთხრა დაღონებულმა ალექსანდრემ ცოდვით გაშიშვლებულს, – რა უნდა გიყო. ჩვენ ყველანი მეტ-ნაკლებად ვართ ცოდვილნი. განა ჩემი ლოცვა გიხსნის ამ უბედურებისაგან? მე, რა თქმა უნდა ვილოცებ შენზე და ამ დასჯილ სოფელზე, და არა მარტო... აქაურებზე, არამედ ვილოცებ იმ დასასჯელ სოფლებზეც, რომელთა რიცხვში ჩემი მშობლიური სოფელიც ურევია...

ალექსანდრემ დაიჩოქა, ხელები მაღლა აღაპყრო და დიდხანს ლოცულობდა. ეხვეწებოდა ღმერთს, შეეწყალებინა გაძარცული ხე, რომელიც საცოდავად დარჩენილიყო ამ იავარქმნილ ნასოფლარში. მერე ზანტად წამოდგა, შემოტრიალდა, ცხენისაკენ გაემართა, უნდოდა იქაურობას გასცლოდა. უეცრად მსუბუქმა ნიავმა დაჰქროლა და ალექსანდრეს ფოთლების შრიალი მოესმა. მოიხედა უკან და... ჰოი, საოცრებავ, გაძარცული ვაშლის ხე ერთიანად მწვანით შემოსილიყო. ალექსანდრემ ისევ დაიჩოქა, ხელები მაღლა აღაპყრო და ღმერთს მადლობა შესწირა ამ საოცარი გულმოწყალებისათვის. მწვანით შემოსილი ვაშლის ხე უკვე აღარ გოდებდა. საიდანღაც, ასე უეცრად ჩიტებიც მოფრენილიყვნენ და, გაფოთლილ ტოტებში შეყუჟულები, მხიარულად ჭიკჭიკებდნენ.

თავი XIII

ქვაში ჩაჭედილი მზეთუნახავი

ალექსანდრემ გზა განაგრძო. მოსახვევთან ისევ ის მოხუცი დახვდა, რომელიც, სოფლიდან გამოქცეული, ამასწინათ სხვა მხარეს მიემგზავრებოდა. ეტყობა, უკან მობრუნდა და შორიდან უსმენდა ყმაწვილის ლოცვას.

– ახლა საით მიდიხარ, კეთილო ყმაწვილო? - ჰკითხა მან ალექსანდრეს.

– შინ უნდა დავბრუნდე ...

– მეც ჩემი გზა მაქვს, ის გზა, რომელზეც უკვე გითხარი, მაგრამ კიდევ ერთი საიდუმლო უნდა გაგიმხილო: სანამ შინ დაბრუნდებოდე, აი, იმ ბილიკზე გადაუხვიე და კლდის პირას დიდ ქვასთან მიგიყვანს იგი. იქ კი ქვაში ჩაჭედილ მზეთუნახავს იხილავ... მე მეტს ვერაფერს გეტყვი... თვითონ გაიგებ ყველაფერს... – ეს უთხრა მოხუცმა და ისევ იქითკენ შებრუნდა, საითკენაც მიეშურებოდა.

ამ ქვას სოფელში „ლუციანეს ქვას ეძახდნენ“. ლუციფერს, ანუ სოფელში ლუციანედ მონათლულ დაცემულ ანგელოზს, უშვილობის გამო თურმე სევდა შეუჩნდა. ამ ცისქვეშეთში არავის გაუგონია სევდიანი ანგელოზის შესახებ, მით უმეტეს,

თუკი იგი ზნეობრივად დაეცა და სატანად იქცა. „ლუციანეს" გაახსენდა, რომ ერთ დროს ღმერთთან ახლოს იყო და იგი მამაზეციერმა სინათლის ანგელოზად შექმნა, მერე, ღმერთს რომ განუდგა, მარტო დარჩა და მარტოობის შიშმა გაუჩინა სურვილი, ყოფილიყო ღმერთივით რაღაცის შემოქმედი, შეექმნა ქალი და ეშვილა იგი. ის ბუნებით ეგოისტი გახლდათ და ამიტომ ცდილობდა მისი „ქალიშვილი" დედამიწაზე ყველაზე ლამაზი გამოსულიყო. შვილის ყოლა ადამიანური სურვილი და მიზანია, რათა წარმავალ წუთისოფელში თაობათა ცვლა გაგრძელდეს. სატანას კი წარმავალობის გრძნობა აღარ გააჩნია, ვინაიდან ერთ დროს ღმერთის ანგელოზი იყო და მარადიულობის გრძნობაც იქიდან გამოჰყვა, მაგრამ ეს ის შემთხვევა იყო, როცა ღმერთთან დაპირისპირებულ

„ლუციანეს" თავის მარადიულობაში ეჭვი შეეპარა. აი, მაშინ გადაწყვიტა ქალის სახით შეექმნა მშვენიერება და ეშვილა იგი. რა თქმა უნდა, ხორციელად ამას ვერ შეძლებდა, ვინაიდან თვითონ უხორცო იყო და ამდენად, ქორწინება სულ სხვაგვარად ესმოდა. გამომდინარე აქედან, „ლუციანემ" სულ სხვა ხერხს მიმართა – აიღო საჭრეთელი და ერთ დიდ მარმარილოს ლოდს მიადგა. უსხეულო სატანამ ღმერთის მიერ ადამიანისათვის ნაბოძები ნიჭი მოიპარა და ასე დაიწყო თავისი უხილავი ხელით ქვისაგან ლამაზი ასულის გამოკვეთა. ის მუშაობდა ჩუმად კუნაპეტ ღამეში სიბნელე აძლევდა სხეულს და სიბნელეში ემატებოდა ის ძალა, რაც ერთმეოდა გამთენიისას. ესმოდათ სოფელში ღამ-ღამობით უჩვეულო კაკუნი, მაგრამ ვერავინ ბედავდა იმ ლოდთან მიახლოებას. მერე სოფლის განკითვის ჟამიც დადგა. „ლუციანემ" მოასწრო თავისი შედევრის შექმნა, მაგრამ ის მშვენიერება ქვაში ჩარჩა, ვინაიდან დემონმა ვერ შთაბერა სული. სიცოცხლე ღმერთის ხელში იყო და დემონებს არ შეეძლოთ არაფრისათვის სიცოცხლის მინიჭება. სულიერება და ყოველივე სულიერი რაც სამყაროში არსებობს ღმერთშია და ღვთისაგან გამომდინარეობს. ეს ქანდაკება კი მისი შემქმნელის საამებელ საშუალებად თუ გამოდგებოდა და უგულო, ქვაში ჩარჩენილი გამოსახულება იქცა ღმერთთან კავშირს მოკლებულ კერპად. სული რომ ვერ ჩაბერა, „ლუციანემ" თავისი ქანდაკება სასაფლაოზე გადაიტანა. ასე აღმოჩნდა არშობილი გოგო პირდაპირ გარდაცვლილებთან.

თავი XIV

ჰოი, საოცრებავ!

ბიჭმა იარა, იარა და როგორც კი მიუახლოვდა ქანდაკებას, მაშინვე მოიხიბლა ქვაში გამოკვეთილი ქალის მშვენიერებით, მაგრამ იგი მალე მიხვდა, რომ მოტყუვდა. ტყუილი თუ შეცნობილ იქნა, ის უკვე ვერ გამოდგება თვითმოტყუების საშუალებად.ყმაწვილი გამობრუნდა და წასვლა დააპირა, მაგრამ, ჰოი, საოცრებავ, ზურგს უკან მოესმა ქალიშვილის განწირული ხმა: „ნუ ჩამტოვებ ქვაში, მიხსენი ამ გაქვავებისაგან. ამომაცალე ქვის გული სხეულიდან, შესთხოვე ღმერთს ჩემთვის ხორციელი გული, რათა შევიგრძნო სიცოცხლის მადლი. გამიყვანე სასაფლაოდან, მე ხომ ჯერ არც ერთი დღე არ მიცხოვრია“. ... დემონმა ქვას მიახატა მშვენიერება, სული ვერ ჩაბერა და პირდაპირ სასაფლაოზე მკვდრებთან მიუჩინა ადგილი. ალექსანდრეს გული მოეწურა, ქვაში ჩარჩენილი ასულის საცოდაობამ მთელი არსებით შეძრა. არ იცოდა, რა ექნა. ქვის არტახებიდან ქალიშვილის გამოხსნა შეუძლებელი იყო. ეგ ხომ ადამიანურ ძალებს აღემატებოდა.

ალექსანდრე მიხვდა ჭეშმარიტებას. მის თვალწინ

დაუწერელი წიგნი გადაიშალა და ის ვალდებული იყო, წაეკითხა იგი, ამოეცნო დაფარული აზრები. იმას, რასაც ადამიანს ეგოისტური და ამპარტავნული ვნებები კარნახობენ, არ გააჩნია

ღვთიური სული. გარეგნულ მომხიბვლელობას თუ შინაგანი სიწმინდე არ ახლავს, მაცდურია იგი და მკვდრადშობილი. ღმერთმა მიწისაგან შექმნა სხეული, დემონმა კი ქვისგან სცადა, გამოეთალა. ქვა გამძლეა და ამით ფიქრობდა, უხრწნად, მარადიულ სხეულს შექმნიდა, მაგრამ ხელი მოეცარა. ქვაში ვერ დაიბუდა სულმა, გულქვაობამ კი ვერ შექმნა ვერც წარმავალი და ვერც მარადიული. დემონის შემოქმედება სასაფლაოს კუთვნილება გახდა. ალექსანდრემ არ იცოდა, თუ რა, ან ვინ ტიროდა ქვაში. როგორ შეეძლო ქვას გოდება და წუხილი? ფიქრობდა, მაგრამ ვერ ამოეხსნა ეს გამოცანა. ამ დროს, მოულოდნელად, პატარა ბავშვის სახით ფრთოსანი ანგელოზი გამოეცხადა, მარჯვენა მხარზე დააფრინდა და ოდნავ გასაგონი ხმით მიმართა: „ეს ქალიშვილი რომელიც ქვაში

გამოკვეთა „ლუციანემ", უნდა დაბადებულიყო, მაგრამ ვერ დაიბადა, ვინაიდან ბოროტმა ძალებმა დედის საშოშივე მოაკვდინეს იგი. რომ დაბადებულიყო, ასეთი ლამაზი იქნებოდა. ეს წინასწარ იცოდა მან, ვინც მისი სახე ქვაზე გამოკვეთა. გოგონა სიცოცხლეს ითხოვს, სამართლიანობის აღდგენას ითხოვს, ქვის გულის ნაცვლად ადამიანური გულის ჩადგმას ითხოვს. მკვდრადშობილი ითხოვს სიცოცხლეს იმისათვის, რომ უყვარდეს, სიყვარულში გალიოს მიწიერი ცხოვრების დღენი და ასე იპოვოს დაფარული გზა, რომელიც სხვა მზის ქვეყნისკენ მარადიულ ყოფიერებაში გაიყვანს ყოველ უსამართლობას, რომელიც

ოდესმე მომხდარა, თუნდაც ათასწლეულების წინათ, სამაგიერო უნდა მიეზღოს. დემონმა თავის მიერ ჩადენილი ბოროტება იშვილა და გამოკვეთა ქვაზე, თითქოსდა ამით დაუბადებელ სიცოცხლეს მარადიულობისკენ მოაბრუნებდა, მაგრამ ქვა უნებურად საფლავზე იქნა მისატანი. მას სხვა „საცხოვრისი" ვერ მოუძებნა ამ ცის ქვეშ და მარადიულ სიკვდილს ჩააბარა, რომელსაც აღდგომის მადლი არ შეეხება.

უსამართლოდ ვნებულ გოგონას კი ქვაც ვერ დაატყვევებს. სამართალი ოდესმე შეჭამს პურს და მშიერი არ დარჩება. რადგან შენ შეგიყვარდა ის გოგო, ილოცე მასზე. ლოცვა და დიდი სიყვარული ის ძალაა, რომელიც უგრძნობელ ქვასაც დაალბობს და მკვდრეთიდან აღადგენს" – ეს თქვა ანგელოზმა და გაფრინდა.

- თანახმა ვარ, ოღონდაც შევძლო დახმარება უსამართლოდ ვნებული გოგონასი, ფიქრობდა ალექსანდრე, ორმოცი დღე და ღამე ქალიშვილის ქანდაკების წინ განუწყვეტლივ მარხულობდა და ლოცულობდა. ბოლოს და ბოლოს ვეღარ გაუძლო ქვამ ამდენ სულიერ ძალისხმევას, ვერ გაუძლო გულწრფელ ლოცვასა და უმწიკვლო სიყვარულს, ქვა დალბა. თურმე გულწრფელი ლოცვა და სიყვარული ეშმაკის ქვასაც გააკეთილშობილებს და სინანულის ცრემლს მოჰგვრის. სიყვარული და ღვთიური ძალა ერთია. დარბილდა ქვა და შევიდა მასში ღვთიური სული.

ათასწლეულების შემდეგ იზეიმა დაგვიანებულმა სამართალმა, იშვა ოდესღაც დედის საშოში მოკვდინებული გოგონა.

- სახელი მიწოდე! - უთხრა გოგომ ალექსანდრეს.

– შენ ხარ ნინო. იმის სახელს დაგარქმევ, ვინც იბერიაში ვაზის ჯვარი შემოიტანა, - მიუგო ალექსანდრემ.

ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ და სოფლისაკენ წამოვიდნენ.

მეორე წიგნის

ლ ა ს ა ს რ უ ლ ი

წიგნი

III

თავი I

ღვთის განგება

Oყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, რადგანაც დემონისგან ქვაში გამოკვეთილი და ღვთისგან სულჩადგმული მზეთუნახავი, რომელსაც ალექსანდრემ ნინო უწოდა, მიწიერი სამყაროს ხილვით გაოცებული იყო. მას არ ჰქონდა სული და მისი ხატება ქვაში იყო ჩაჭედილი. სატანას არ შეეძლო ცოცხალი არსების შექმნა; ის ხომ მუდამ ცდილობდა, ღმერთის შექმნილს დაპატრონებოდა და ღმერთის ქმნილებები მისთვის დაეპირისპირებინა.

ალექსანდრემ დიდხანს ილოცა, რათა ღვთიური სული გადმოსულიყო ქვაში გამოკვეთილ არსებაზე. ღმერთმა ისმინა უცოდველი ბიჭის გულწრფელი ლოცვა და ქანდაკებას სული ჩაუდგა.

ბედნიერებით აღსავსენი წამოვიდნენ თუ არა ნინო და ალექსანდრე სოფლისკენ, მათ მაშინვე აედევნა სატანა.

- სად მიგყავს ჩემი ქალიშვილი! - გაჰყვიროდა დემონი და არ ეშვებოდა ცხენზე ამხედრებულ გოგო - ბიჭს.

ალექსანდრე შეყოვნდა, აღვირი მოქაჩა და ცხენი შეაჩერა. უკან მოიხედა თუ არა, მან ადამიანის მაგივრად ვეებერთელა რქებიანი და ბანჯგვლიანი ორფეხა ცხოველი შენიშნა.

- შენ შვილი არ გყავს, - მიუგო ალექსანდრემ.

- შენ არ შეგიძლია, რაიმე შექმნა.

შენ ადამიანების ცდუნების უნარი მოგეცა მხოლოდ. ეს გოგო, უფრო სწორად, მისი ხატება, ქვაში გყავდა დატყვევებული. მე ვილოცე მის დასახსნელად და ღმერთმა მას სიცოცხლე აჩუქა...

- როგორ!... - დაიღრიალა დემონმა -ღმერთმა ადამიანი მიწისგან შექმნა, მიწას ჩაჰბერა სული... ჩემი ქანდაკება კი ქვისა იყო და ქვა ჩემია... მისი სხეული მე მეკუთვნის...

- მატყუებ, ვერაგო! -მიუგო ალექსანდრემ. - ქვაც ღვთისაა, მიწაც, ხეც და ყველაფერი... შენ არაფერი გეკუთვნის ამ ცისქვეშეთში. ეს გოგო შენს ტყვეობაში იყო. ის ღმერთმა გაათავისუფლა და მე მაჩუქა...

უეცრად რქიანი ორფეხა ცხოველი ვეებერთელა ყვავად გადაიქცა, საზარელად დაიჩხავლა, მერე მინდვრებსა და გორაკებს გადაუფრინა და სადღაც გაუჩინარდა.

თავი II

ჯვრისწერა

ბოგომ და ბიჭმა ცოტა რომ გაიარეს, გზაში ის ქადაგი შემოხვდათ, რომელიც ალექსანდრემ დასჯილ სოფელში ნახა.

- საით მიდიხარ, ალექსანდრე, და სად მიგყავს ეს ლამაზი გოგო? - ჰკითხა ქადაგმა.

- სოფელში მიმყავს, ჩემს მშობლიურ სოფელში, ჯვარი უნდა დავიწეროთ. მინდა, დიდი ქორწილი გადავიხადოთ და ყველა ჩემი თანასოფლელი დავპატიჟო.

- ჯვარი აუცილებლად უნდა დაიწერო, - უთხრა ქადაგმა, -მაგრამ სანამ ჯვარს დაიწერდეთ, ეს გოგო მოუნათლავია და აუცილებლად უნდა მოანათვლინო თქვენი სოფლის ეკლესიის მღვდელს. მონათლულს ეშმაკი ვეღარ მიეკარება... მე ვიქადაგე თქვენს სოფელში, მაგრამ სამწუხაროდ, ბევრი ვერაფერი გავაგებინე ხალხს.

ისინი ისე გაუბრიყვებია შემთხვევით შეძენილ და ნაჩუქარ სიმდიდრეს, რომ არაფრის განსჯის თავი არა აქვთ...

არ შემიძლია, დაგიმალო და პირდაპირ გეტყვი: საუბედუროდ, თქვენს სოფელსაც იგივე მოელის, რაც ამასწინათ ჩემს გაუკუღმართებულ სოფელს მოუვიდა... უღმერთობისთვის დაისჯებიან ისინი და ეს მინდა, შენ წინასწარ გაცნობო...

ალექსანდრე ძალიან შეაწუხა ქადაგის ნაამბობმა, მაგრამ ბოლომდე მაინც არ დაიჯერა მისი ნათქვამი. იმედოვნებდა, რომ სოფელი გონს მოეგებოდა და ადრე თუ გვიან მიხვდებოდა, რა როგორ უნდა ეკეთებინა, რანაირი ურთიერთობა უნდა ჰქონოდა მეზობლებთან, ნათესავებთან და, საერთოდ, მოყვასთან. სიმდიდრით მოპოვებული კეთილდღეობით გატაცება დროებითი მოვლენა ეგონა და სწამდა,

მალე სოფლელების გრძნობებს გონება მოთოკავდა, სხვაგვარად დაანახვებდა სამყაროს.

ალექსანდრემ ნინო სოფელში ჩაიყვანა თუ არა, მღვდელს მოანათვლინა იგი, მერე ქორწილი

გადაიხადა და ამ ქორწილში მთელი სოფელი დაპატიჟა. ქადაგი ნინოს ნათლია გახდა და ალექსანდრემ ქორწილის თამადად ის შეიგულა, მაგრამ ქადაგმა თამადობაზე უარი უთხრა. თავისი სოფლის უბედურებით ისე იყო შეწუხებული, არაფრის თავი არ ჰქონდა.

- რას იზამ, ასეა წუთისოფელი მოწყობილი. ერთგან ლხინია, სხვაგან მწუხარება. - თქვა ქადაგმა. -არავინ ფიქრობს იმაზე, რაც ერთ სოფელს მოუვიდა, მეორესაც რომ მოუვა... სანამ მოვიდოდეს ის, ვინც უნდა მოვიდეს, არავინ იცის, რომ მოვა და ამიტომაც არ ელიან მას. სოფელი ყოველთვის მოუმზადებელი ხვდება განსაცდელს, სოფელი ვეღარ ხედავს ხვალინდელ დღეს, ვინაიდან ხვალინდელი ხვალ გათენდება, ადამიანის გონება კი მხოლოდ დღევანდელობითაა დაკავებული. შენ ღვთის წყალობით იხილე სხვა მზის ქვეყანა, მაგრამ ამ მზის ქვეყანაში დაბრუნებული, თანდათან შორდები მას, ნელ-ნელა გავიწყდება იქაურობა. ახლა, როცა დაქორწინდი და ოჯახი შექმენი, სულ სხვა მიზნები გაჩნდა შენს გონებაში; სხვა მზის ქვეყანაზე ფიქრი კი უთუოდ შეგიშლის ხელს ახალი მიზნების განხორციელებაში.

კაცთა სურვილებს არა აქვს საზღვარი და ამ სურვილების ზღვაში გაცურავებს ცხოვრება. ნაპირი კი არ გამოჩნდება არსად, ვინაიდან ნაპირი აქვს იმას, რომელიც დასაზღვრულ სივრცეშია მოქცეული.

ქადაგის ეს სიტყვები ნემსებივით ჩხვლეტდა

ალექსანდრეს, მაგრამ ის ისე იყო აღტაცებული და აღტკინებული თავისი მოულოდნელი ბედნიერებით, რომ ყველაფერს იოლად ითმენდა.

თავი III

მაგიური ქვა

ქორწილის მეცამეტე დღეს, შეღამებისას, როცა ალექსანდრე ახლობელი ადამიანის სახლიდან შინ ბრუნდებოდა, გზაში შავი მოსასხამიანი კაცი შემოხვდა. ის ისე მოულოდნელად აილანდა მის წინ, რომ ეტყობოდა, გზისპირა ბუჩქებში საგანგებოდ ჩამალული ელოდებოდა.

- ვერ მიცანი? -ჰკითხა უცხომ.

- ვერა. -მოკლედ მოუჭრა ალექსანდრემ.

- მე ის ვარ, თქვენში ლუციანეს რომ ეძახიან...

- მივხვდი, ვინცა ხარ... განვედ ჩემგან სატანავ, ვერაფერს წაიღებ ჩემგან. - თქვა ალექსანდრემ და პირჯვარი გადაიწერა.

- ჩემი ქვა დამიბრუნე! - მტკიცედ მიუგო „ლუციანემ“.

- შენი არაფერი არ მაქვს.

- მე შენ ოპალი მომპარე. ჩემს ქვას, ოპალი ერქვა; ცოლად შეირთე და ნინო დაარქვი.

- შენ სილამაზე ქვაში გქონდა სამუდამოდ გამომწყვდეული, მე ის შენი ტყვეობიდან გავათავისუფლე, ლოცვითა და ღვთის წყალობით ჩავუდგი სული და შენ მიერ გაუბედურებულს ბედნიერება

მივანიჭე. ის უკვე აღარ არის ქვა, ადამიანია და ვერაფრით დაიბრუნებ უკან.

- მისი საწყისი ქვა არის მაინც. ჩემშია წილნაყარი და მე მეკუთვნის, ან როგორ გაბედე ჩემს შექმნილთან შეუღლება? განა არ იცი ქვა რომ ჩემია?!

- ამ სამყაროში არაფერია შენი: არც ქვა და არც მიწა. ყველაფერი რაც არსებობს, ღვთისგანაა. მხოლოდ შურია შენი, შურის მშობელი ხარ და შურს ამრავლებ ყველგან, სადაც ხელი მიგიწვდება. შენ რაც ცოდნა გაქვს, ყველაფერი ღვთისგან გაქვს ნასწავლი და შურის გამო ის ცოდნა, ისევ ღმერთს გინდა დაუპირისპირო, მაგრამ ვერაფერს გახდები. ერთ დროს ნათლის მფრქვეველი და სინათლის ანგელოზი, ბნელეთის მოციქული გახდი. ქვა რომელიც გაცოცხლდა, უკვე უსულო საგანი როდია... ლოცვებით დარბილდა, ხორცად იქცა და სული ჩაიდგა. შენს მიერ ჩახატული სილამაზე ვერასოდეს იქცეოდა მშვენიერებად, რომ არა მაცოცხლებელი ღვთიური სული... სილამაზე ხშირად შეიძლება მაცდუნებელი იყოს, მშვენიერება კი ჭეშმარიტებაა, სრულყოფილია და კეთილშობილი. ხომ ხედავ, არაფერი დარჩა იმ შენი ქვიდან. წადი, სატანავ, ბნელეთში წადი!...

- ყველა ძვირფასი ქვა, რომლებიც ადამიანებმა გაინაწილეთ, მე მეკუთნის. თქვენ მას ძვირფასეულობას ეძახით და გაჩენის დღიდან ერთმანეთს ხოცავთ, მათ დასაუფლებლად ქვეყნები

ერთმანეთს ებრძვიან. ეს ქვები მინერალების დაბადების დღიდან უზარმაზარ ენერგიას იწოვენ და ასე ხდებიან მაგიური ძალების მფლობელნი. თქვენ მე ძალას მპარავთ, მაგრამ მაინც ვერ დამასუსტებთ... დაჟინებით მოვითხოვ, დამიბრუნე ჩემი ოპალი,



რომელიც შენ მოანათვლინე, ნინო დაარქვი და ცოლად შეირთე. თუ არ დამიბრუნებ აგიჯანყდებიან ის ძალები, რომლებსაც სოფელში ბოროტ ძალებს ეძახით. პირველ რიგში ქურდები, ყაჩაღები და ჯადოქრები მიიტანენ შენზე იერიშს, რამეთუ ისინი დასაბამიდან ეთაყვანებიან ოპალის ქვას; ის მათი მფარველი და თილისმა გახლავთ...

- ამაოა შენი მცდელობა. ის რაც ლოცვითა და ღვთიური სულით გაკეთილშობილდება, უმალვე სასიკეთო თვისებებს იძენს. რაც შენ ქურდებისა და ჯადოქრების მფარველად გინდოდა, ახლა უამრავ ავადმყოფობას შველის და ამავე დროს ადამიანებს იცავს ბოროტი ენერგიის ზემოქმედებისგან, ვინაიდან განიწმინდა ყოველგვარი მინარევებისგან. ქვამ ადამიანის სული ჩაიდგა და აქ ყველაფერი დამთავრდა!

- შენს რწმენას წინ დიდი გამოცდა ელის. თქვენს სოფელს მალე დაუდგება განკითხვის დღე და გზად მიმავალმა თქვენმა მეუღლენ უკან თუ მოიხედა, იგივე მოუვა, რაც სოდომიდან გამოსვლისას ლოტის ცოლს მოუვიდა! ეს თქვა დაქადნებით „ლუციანემ“ და ელვისუსწრაფესად გაქრა თვალთახედვიდან.

თავი IV

ლტოლვა საოცარი ქვეყნისკენ

სოფელი ცხოვრობდა თავისი ყოველდღიური საზრუნავებით. სიმდიდრემ უფრო მეტი საზრუნავი და საფიქრალი გაუჩინა აქაურებს. ერთხელ, მარულაზე, ნიკოს ცხენმა აჯობა სიკოს ცხენს. შერცხვა სიკო, ნიკოზე ნაკლები რითი ვარო, გაბრაზდა და ჯავრისაგან კარგა ხანს ოთახში ჩაიკეტა. არ იცოდა, როგორ მოენელებინა ეს დამარცხება. ცხენი სანაქებო ჰყავდა, მაგრამ ნიკომ მაინც აჯობა. ველარ მართა ცხენი ისე,

როგორც საჭირო იყო, მაგრამ სიკო რა სიკო იყო, საკუთარი თავი დაედანაშაულებინა, ადგა და ყველაფერი ცხენს დააბრალა. ამ ბოლო დროს იმდენად ამაყი გამხდარიყო, რომ არ იკადრა დამარცხებული ცხენით სოფელში სიარული და სულ იაფად, როგორც იტყვიან ჩალის ფასად მიჰყიდა მეზობელ პეპეს.

ერთ თვეში ისევ გაიმართა სოფელში მარულა და პეპემ სიკოსგან ჩალის ფასად ნაყიდი ცხენით ყველას აჯობა. ახლა მთლად გადაირია სიკო. ცხენის უკან დაბრუნება არ იკადრა, მაგრამ არც პეპეს შეარჩინა. ცხენი მოულოდნელად გაქრა და ვერავინ გაიგო მოიპარეს თუ ტყეში ნადირებმა დაგლიჯეს.

სოფელში ქიშპობამ და ერთმანეთისადმი მტრულმა განწყობამ იმატა. პატარა წვრილმან შეცდომასაც არ პატიობდნენ ერთმანეთს. რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, ეკლესიაში კი ანთებდნენ სანთლებს, წირვასაც ესწრებოდნენ, მაგრამ არაფერი იცვლებოდა მათ სულებში. გული გაციებოდათ. სალოცავებში ერთმანეთის ჯიბრზე დადიოდნენ. დასჯილი სოფლიდან წამოსული ქადაგი ხშირად შემოივლიდა ამ გაუკულმართებულ სოფელში და მოახლოებულ უბედურებაზე ქადაგებდა, მაგრამ არავინ უსმენდა მის შეგონებებს. შერეკილად მიიჩნიეს და დასცინოდნენ კიდეც.

ალექსანდრეს ხშირად შეიპყრობდა რაღაც გაურკვეველი შიშის განცდა. ფიქრობდა და ვერ გაერკვია, საიდან შემოდიოდა მის სულში ასეთი

დამაფრთხობელი გრძნობები. მას შემდეგ, რაც ბოროტებაზე ერთხელ კიდევ გაიმარჯვა და ქვაში ჩარჩენილმა მზეთუნახავმა მისი გულმხურვალე ლოცვის შედეგად სული ჩაიდგა, თავი ბედნიერად იგრძნო, მითუმეტეს მაშინ, როცა ეს გაცოცხლებული მშვენიერი ასული ღვთის წყალობით მისი მეუღლე გახდა.

მან იხილა და იწამა, რომ სადღაც არსებობდა სხვა მზის ქვეყანა. იწამა იმიტომ, რომ ღვთის ნებით იხილა იგი; საკუთარი თვალებით ნახა და საკუთარი გულით განიცადა, მაგრამ მისი რწმენა, რომ არ იყო მყარი, ამასაც გრძნობდა ქვეცნობიერად. ნამდვილი რწმენა ის არის, როცა არ გიხილავს და მაინც გწამს. ასეთი რწმენა სულ სხვა რწმენაა. თვალით დანახულის დაჯერება ადვილია. ალექსანდრე გუმანით იმასაც გრძნობდა, რომ მიწიერი თვალით დანახულის დავიწყება და მეხსიერებიდან წაშლა სრულიად შესაძლებელი იყო. წარმავალ წუთისოფელში ჟამი ყველაფერს მიჯნავს და აშორიშორებს ერთმანეთისაგან. მერე შიგადაშიგ მეხსიერებაში იბუდებს ეჭვი, ბუნდოვანება, რაც რეალობას ნელ-ნელა მოჩვენებად აქცევს.

ალექსანდრე ნინოს ხშირად უყვებოდა სხვა მზის ქვეყანაში ნანახ ამბებს. იხსენებდა თუ როგორი სიმშვიდე და თანხმიერება სუფევდა იმ სამყაროში. უყვებოდა, რომ მგელი და ცხვარი ერთად ძოვდნენ ბალახს; თუ როგორ ეთამაშებოდა ლომი შველს და

როგორ თავისუფლად ჯდებოდა ხის ტოტზე მწყერი... ნინო გაოცებული უსმენდა და მერე მთელი დღე ოცნებობდა იმ საოცარ სამყაროზე, რომელიც თურმე მისმა მეუღლემ ღვთის წყალობით იხილა.

- რა უნდა ვაკეთოთ იმისთვის, რომ ოდესღაც

ჩვენი სულები იმ ქვეყანაში გადასახლდნენ? - ჰკითხა ერთხელ ნინომ მეუღლეს.

- უნდა გვიყვარდეს ყველაფერი... სიყვარულით უნდა ვიცხოვროთ. ნუ დავყოფთ ჩვენს გრძნობებს სიძულვილად და სიყვარულად. - უპასუხა ალექსანდრემ.

ნინო დაფიქრდა.

- განა ადამიანს შეუძლია იმის შეყვარება, რაც სძულს... თავისთვის ჩაილაპარაკა ნინომ.

- შეუძლია, რომ არ სძულდეს. შეუძლია,

სიძულვილის მაგიერ სინანულის გრძნობა ჩაანაცვლოს, როცა ბოროტი გენანება, ეს სულ სხვა განცდაა... სინანული ვერ იქნება ბოროტების თანაზიარი, მაგრამ როცა გძულს ბოროტი, შენც იმავე ბნელი ძალების მონა ხდები უნებლიედ. ასეთ დროს შეიძლება თავი, მართალი გეგონოს, მაგრამ მაინც მტყუანი ხარ, ისეთი მტყუანი, რომელსაც ამ წუთისოფელში კაცებრივი სამართალი ვერ განსჯის. ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ისე, რომ ჩვენი სული თავისუფალი და მსუბუქი იყოს...

სიყვარული ყველაფრის წამალია!

თავი V

წარღვნა

უბედურება მაშინ მოგადგება კარზე, როცა მას არ ელი. ნუთუ ბუნება არანაირ გაფრთხილებას არ იძლევა მოსალოდნელი კატასტროფის შესახებ? იძლევა და მერე როგორ, მაგრამ ადამიანები იმდენად გაიტაცა მიწიერმა სიამტკბილობამ, რომ წინასწარ ვერაფერს გრძნობენ, ვინაიდან დაუბინდდათ გონება, გაუცივდათ გული, მოუდუნდათ ინსტიქტები და სულიერად გაღატაკდნენ.

ზღვა და ოკეანე თუ გასუსულია და აღარ იძვრის, მეზღვაურებმა იციან, რომ ეს შტორმის ნიშანია და მაშინვე იწყებენ აფრების დაშვებას, რათა ძლიერმა

ქარიშხალმა ხომალდი არ ამოაბრუნოს... თუ პაპანაქება სიცხეში ფრინველები ტყისკენ მიფრინავენ, გრძნობენ რომ მალე გაწვიმდება და ცდილობენ, ხშირ ფოთლებს შეაფარონ თავი...

სოფელში კი დაიარებოდა ქადაგი და აფრთხილებდა ადამიანებს, მაგრამ არავის არაფერი სჯეროდა და კვლავაც ასე უდარდელად განაგრძნობდნენ ცხოვრებას, როგორც გამდიდრების შემდეგ სჩვეოდათ. ... და, აი დაიწყო წვიმა. ამ ჩვეულებრივ ბუნებრივ მოვლენას კი არავინ შეუშფოთებია, ვინაიდან იცოდნენ, რომ ცოტა ხნის მერე ისევ გამოიდარებდა... მაგრამ, ჰოი საოცრებავ, ერთი კვირა განუწყვეტლივ იწვიმა და ცაზე ისეთი შავი ღრუბელი იყო გაწოლილი, გეგონებოდათ დღე ღამედ იქცაო. მზეს ერთხელაც არ გამოუხედავს ამ სქელი ღრუბლებიდან. წვიმა კი არ შენელებულა. დასხდნენ სოფლის თავკაცები და შიში და შეშფოთება

გამოხატეს, მაგრამ შიშმა საქმეს ვერ უშველა. წვიმა მეორე კვირაც არ შემწყდარა და მოზღვავებული წყალი ვეღარ დაიტიეს მდინარეთა კალაპოტებმა. წყალმა ნაპირი გადმოლახა და სოფლისკენ იწყო დენა.

ახლა გაახსენდათ ქადაგი, რომელიც გაბოროტებულ მოსახლეობას აფრთხილებდა და სიკეთისკენ მოუწოდებდა, მაგრამ უკვე ის ქადაგიც არსად ჩანდა და აღარავინ იყო სოფელში მართალი სიტყვის მთქმელი. წვიმა კი თავისას არ იშლიდა.

წყალმა დატბორა მთელი სოფელი. მუხლებამდე წყალი იდგა ყანებსა და სავარგულებში. წვიმა არ წყდებოდა და წყალი უფრო იწევდა ზევით და ზევით. მიწა დალბა და ფერდობებზე მეწყერი ჩამოწვა.

მეწყერმა კი დაიწყო ერთმანეთის ჯიბრზე აგებული ლამაზი სახლების ჩამონგრევა. აქა-იქ ისმოდა წივილ-კივილი, გოდება. განწირულები შველას ითხოვდნენ. ახლა კი დასჭირდათ ერთმანეთი, მაგრამ ამ უბედურების ჟამს სხვისთვის არავის ეცალა.

თავი VI

მითიური ფრინველი

ალექსანდრე და ნინო სახურავზე ასულიყვნენ და ცისკენ ხელებაპყრობილნი, ღმერთს შესთხოვდნენ შველას. შეისმინა ამ მართალი ადამიანების ხვეწნა-მუდარა ღმერთმა და საიდანღაც მოფრინდა ვეება ფასკუნჯი. მითიურმა ფრინველმა, რომელიც აქაურებს დიდი ხნის გადაშენებული ეგონათ, ზურგზე შეისვა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი და აღმოსავლეთისკენ გაფრინდა. უკან დარჩა დატბორილი და დამეწყრილი სოფელი. უცებ საშინელი გრუხუნისა და ზათქის ხმა მოესმათ ალექსანდრეს და ნინოს.

- უკან არ მოიხედო! - დაიძახა ალექსანდრემ.

სოფლიდან ისეთი ხმაური მოდიოდა, ნინოს ცნობისმოყვარეობამ წასძლია. ძალიან უნდოდა გაეგო, თუ რა ხდებოდა მათ სოფელში, მაგრამ შეეშინდა და თავი შეიკავა.

ფასკუნჯმა მშვიდად განაგრძო ფრენა. გადაატარა მრავალი მთა და ერთ მწვანით დაბურულ გავაკებულ ადგილზე დაეშვა. აქ უკვე აღარ წვიმდა და მზე ანათებდა.

იმ საშინელი გრუხუნის დროს ცოდვილი სოფელი მთლიანად დაინგრა. ერთბაშად დაიშალა ამპარტავანთა და გალაღებულ უგუნურთა მიერ უზრუნველი ფულით აშენებული სახლები. წყალმა და მეწყერმა ფსკერზე ჩაიტანა ყველაფერი, რაც მიწის ზედაპირზე ჩანდა. აი, იმ ყურისწამღები ზათქის დროს მოუნდა ნინოს უკან მოხედვა და მეუღლის დამჯერე ქალმა თავი შეიკავა. ამ თავშეკავებით მან საკუთარი თავი გადაარჩინა. უკან მოხედვა ასეთ დროს ცოდვისკენ მოხედვას ნიშნავდა, რაც უეჭველად გამოიწვევდა მის სულიერ სიკვდილს. ამიტომ ეიმედებოდა სოფელში ალექსანდრესთან მოდავე „ლუციანეს“ თავის ქვის ისევ ხელში ჩაგდება. უკან მოხედვა და მისი გაქვავება ერთი იყო! ასე მოუვიდა სოდომიდან გამოსულ ლოტის ცნობისმოყვარე მეუღლეს, როცა უკან, ცოდვისკენ მოიხედა...

ახალ მიწაზე გადასვლა ისე უნდა მომხდარიყო, რომ არანაირი კავშირი-არც რეალური და არც ხსოვნითი, არ უნდა ჰქონოდა იმ ძველ სოფელთან,

ვინაიდან უცოდველ მიწაზე ღმერთის მიერ გადაყვანილ ცოლ-ქმარს ახლებური ცხოვრება უნდა დაეწყოთ და ისინი არ უნდა ყოფილიყვნენ მიჯაჭვული იმ მანკიერ ყოფასთან, რომლისთვისაც დაისაჯნენ მათი თანასოფლელები. ეს არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობდა კავშირის გაწყვეტას თავიანთი წინაპრების ხსოვნასთან, თავიანთი ქვეყნის წარსულთან, არამედ ეს ნიშნავდა მხოლოდ იმ ცოდვების უარყოფას, რასაც თანასოფლელები ცხოვრების ჩვეულებრივ წესად მიიჩნევდნენ.

ახალი მიწა, სადაც ფასკუნჯმა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ჩამოსვა, სრულიად უკაცრიელი იყო.

- როგორ ვიცხოვროთ მარტო? -პირველი რაც დაიჩივლა ნინომ, მარტოობის შიშით იყო გამოწვეული.

- ნუთუ შენ თავს მარტო გრძნობ, როცა მე შენ გვერდით ვარ?!

- უსაყვედურა ალექსანდრემ და ნინოს უმალ შერცხვა თავისი ნთქვამის.

- არა, მე ასე არ მიფიქრია. ვინმე ხომ გვინდა დამხმარე... კაცი კაცითაო, -უთქვამს სოფელს.

- ჩვენ ახალი სოფელი უნდა ავაშენოთ: ახალი ჭკუით, ახალი აზროვნებით, ახალი ტრადიციებით... ძველიდან წამოვიღოთ ის, რაც კეთილია და დავივიწყოთ, რაც ფუჭია და მაცდუნებელი. ცხოვრების ახალ წესებს „სხვა მზის ქვეყანაში“ ნანახს და განცდილს დავესესხები. პირველ რიგში ეგ იქნება გამთლიანებული და თავისუფალი სიყვარული, რომელიც ყოველგვარი ანგარებისგან განწმენდილია. ჩვენ იმ წარღვნითა და წყალდიდობით ძველი ცოდვებისგან ვართ განწმენდილნი და ღმერთმა აქ ჩამოგვიყვანა, რათა ბედნიერები ვიყოთ.

მიწიერ სამყაროშიც შეიძლება ადამიანი ბედნიერი იყოს, თუ ის სიყვარულით იცხოვრებს, მისი გულის ჟანგბადი მხოლოდ სიყვარული იქნება. ღმერთმა ადამიანი სიკეთისთვის შექმნა. სიკეთე კი მეტი არაფერია, თუ არა უსაზღვრო სიყვარული.

თავი VII

ქზიანეთი

ახალი საცხოვრისი, რომელიც ღმერთმა ალექსანდრესა და ნინოს მიუჩინა, იმ ბიბლიური სამოთხის დარი იყო, რომლის შესახებ გადმოცემით სმენია ყველა თაობის ადამიანს. ტყე, ნოყიერი მიწა, ყვავილებით მოქარგული მინდვრები, საყანე მიწები, ჩანჩქერები, მდინარე, ანკარა წყარო მიწიდან გამომავალი, თქვენ წარმოიდგინეთ, აქ ხეხილის ბაღებიც იპოვებოდა, ყველაფერი ხარობდა ამ მიდამოებში...

- რა ჰქვია ამ სოფელს? -იკითხა ნინომ.

- ეს ჯერ კიდევ არ არის სოფელი. - უთხრა ალექსანდრემ. - ჩვენ როცა აქ დავმკვიდრდებით და ჩვენი შთამომავლობა გამრავლდება, აი, მაშინ იქცევა ეს ადგილი სოფლად.

- მაგრამ ამ მიდამოს სახელი აქედანვე ხომ უნდა შევურჩიოთ, ვინაიდან ჩვენ პირველმოსახლენი ვართ.

- ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ბნელეთიდან ამოვედით. აქ ჩვენ ცხრათვალა მზე დაგვხვდა და ღიმილით შემოგვეგება. ამიტომ, მოდი, მზიანეთი დავარქვათ აქაურობას. მზე ხომ სიცოცხლის დედაა...

ცოლ-ქმარმა მოიწონა სახელი და ცას ხმამაღლა შესძახეს:

- ისმინე ცაო, ამ ადგილს დღეიდან მზიანეთი ჰქვია!

ცოლ-ქმრის შეძახილი მთებსა და ხევებში ექოდ იქცა და ახალი სოფლის სახელი შორ მანძილზე მიმოიფანტა, ისე, რომ შორეული ქვეყნის მოსახლეობამაც გაიგონა მზიანეთის შესახებ, მაგრამ სად იყო ეს მზიანეთი და რა შინაარსით ცხოვრობდნენ იქაური ადამიანები, ამის შესახებ არავინ უწყოდა.

მცხოვრები მზიანეთში კი ჯერ მხოლოდ ორი ადამიანი იყო -ბედნიერების მაძიებელი ცოლ-ქმარი ალექსანდრე და ნინო. ჩვენი ზღაპრის საიდუმლოს თუ გავხსნით, ისინი ახალი დროის ევა და ადამი

იყვნენ, თუმცა ასე შორს ნუ წავალთ, ჩვენო პატარა მკითხველებო, დარჩნენ ისინი უბრალო ადამიანებად: ნინოდ და ალექსანდრედ. სახელებს რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი ის არის, ცხოვრების რა გზას დაადგებიან ისინი და იქნება თუ არა მათი სოფელი იმ შინაარსის მატარებელი, რა სახელიც დაარქვეს პირველმოსახლეებმა.

თავი VIII

ახალი საცხოვრისი

საد უნდა იცხოვრონ ჩვენი ზღაპრის გმირებმა? ვინ აუშენებს მათ საცხოვრისს და ვინ მოუმართავს ხელს? განა ასე ადვილია ყველაფრის თავიდან დაწყება, განსაკუთრებით მაშინ, როცა გარშემო არავინ გეგულება დამხმარე და მშველელი? კი თქვა ალექსანდრემ სიყვარული ადამიანს შეუძლებელს შეაძლებინებსო, მაგრამ მიწიერ ცხოვრებას მაინც თავისებური სიძნელეები ახლავს, რომელთა დაძლევა არც ისე ადვილია.

ნუ გეშინიათ, ყველაფრის თავიდან დაწყება აღარ მოუწევთ ჩვენს გმირებს. ისინი აქ იმიტომ კი არ გადმოასახლა ღმერთმა, რომ ყველაფერი თავიდან დაიწყონ, არამედ ადგილი შეუცვალა ცხოვრების გასაგრძელებლად, უვარგისი ყოფიდან უმჯობესზე გადაიყვანა. ნუთუ თქვენ გეგონათ, რომ ღმერთი ისევ მღვიმეში შეაბრუნებდა მათ და ყველა ხსოვნას წაშლიდა მათ არსებაში, რაც ცოდნის სახით ჰქონდათ აქამდე დაგროვილი.

ერთხელ ხის ქვეშ რომ ისხდნენ და ახლო-მახლო დაკრეფილ მარწყვს რომ შეექცეოდნენ, ალექსანდრემ მოულოდნელად თვალი მოჰკრა ღელის პირას

მდგარ თეთრ ჩოხოსან მამაკაცს და გაუკვირდა ამ უკაცრიელ ადგილას საიდან გაჩნდაო. ადგა და მივიდა მასთან. ალექსანდრემ ნახა, რომ ჩოხოსანს ხელში სასხლავი ეჭირა და ბუჩქებს სხლავდა.

- ვინ ბრძანდებით და რას აკეთებთ? - ჰკითხა ალექსანდრემ.

- ეს ბუჩქი ახალი არ არის. დიდი ხანია, ამ მიწაზე ხარობს. ზოგიერთი ტოტი უშნოდ განუვითარდა, ზოგი სრულად უვარგისია და ხელს უშლის ბუჩქის განვითარებას. უნდა გავსხლა უვარგისი უნდა მოვაშორო... ამას შენს საჩვენებლად ვაკეთებ, შენც შენს თავში ასე უნდა გააკეთო. უვარგისი აზრები უნდა მოიშორო... ასე ცხოვრება სამომავლოდ გამოგადგება და მუდამ სწორ გზაზე ივლი. - ესა თქვა ჩოხოსანმა და გაუჩინარდა.

- ვინ ხარ! - დააწია ხმა ალექსანდრემ..

ჩოხოსანი უკვე არსად ჩანდა. გაოცებული ალექსანდრე ნინოსკენ წამოვიდა. აქეთ-იქით იხედებოდა გაფაციცებით, მაგრამ ირგვლივ მათ გარდა არავინ ჩანდა.

ცოლ-ქმარს ხის ქვეშ დაეძინა და რომ გაიღვიძეს, იქვე ახლოს, მწვანე ბალახით დაფარულ ეზოში ხის ლამაზი სახლი დაინახეს. ახალ მიწაზე ეს პირველი სახლი იყო, რომელიც ანგელოზებმა მართალ ცოლ-ქმარს აუშენეს.

ღმერთი ადამიანს მარტო არ ტოვებს; ტყუილია როცა ამბობენ, ღმერთმა მიგატოვაო. თუ გწამს და ღმერთან ხარ ის არასოდეს გტოვებს შენ, ვინაიდან ღმერთი სიყვარულია. მიწიერი საზრუნავებით ზედმეტად გადაქანცული და ვნებებით შეპყრობილი ადამიანები თვითონ ივიწყებენ ღმერთს, შორდებიან მას და აქედან იწყება მათი უბედურება.

ალექსანდრე და ნინო გრძნობდნენ, თუ როგორ ეხმარებოდათ მათ ცხოვრების მოწყობაში ღვთის ანგელოზები. მათ ეზოში ყოველ დილით ახალ-ახალი ყვავილები ჩნდებოდა, სულ სხვა ფერისა და სხვა ჯიშის. მწვანე ბალახი მუდამ ცვარ-ნამით იყო მორწყული. მერე მათ ეზოში დედალი ცხვარი და ვაცი გაჩნდა. არავინ იცის, ვინ მორეკა და ვინ შემოუშვა

ახალმოსახლეთა ოჯახში. ეზოს კუთხეში წყარომაც ამოხეთქა. ახლა ნინოს წყლის მოტანა შორიდან არ დასჭირდებოდა.

ცოლ-ქმარი გულხელდაკრეფილი როდი იყო და მარტო ღვთის წყალობის მოლოდინში როდი ათენ-აღამებდნენ. ქალი ბოსტანში მუშაობდა, კაცი-ყანაში, ღმერთი კი იცავდა მათ ნაშრომ-ნაღვაწს, წვიმით არწყულებდა, ხან მზით ათბობდა, ხანაც მაცოხლებელ ჟანგბადს უგზავნიდა ნიავის სახით.

როგორ უნდა გამოეცადა ალექსანდრესა და ნი-ნოს სიკეთე ღმერთს, როცა აქ სხვა მოსახლე არავინ იყო. და აი, პირველი გამოცდის დროც მოვიდა.

თავი IX

საბოლოო გამოცდა

ერთხელ, შუაღამისას, როცა გარეთ ძალიან ბნელოდა, ძახილის ხმა შემოესმა მიძინებულ ცოლ-ქმარს. სასწრაფოდ წამოდგნენ ლოგინიდან და ალექსანდრემ ჭიშკრისკენ გაუტია. ჭიშკართან ძველმანებში გამოწყობილი, წელში მოხრილი ჭაღარათმიანი კაცი იდგა.

- მგზავრი ვარ, შემომაღამდა და სიბნელეში გზა ამერია, ტყეში ვერაფრით ვერ გავიგნე სავალი, არ ვიცი სად ვარ და საით წავიდე. ორიოდე ვერსის იქით მგელს გადავეყარე და ძლივს მოვიგერიე ჯოხით. დამკბინა კიდეც... -სვენებ-სვენებით ამბობდა მგზავრი, ძალიან დაღლილი ჩანდა.

ალექსანდრემ შინ მოიპატიჟა. ნინომ ტაშტით წყალი გამოიტანა და მოხუცს დასისხლიანებული ნაიარევი მობანა. ჭრილობა შეუხვია და მერე სამზარეულო ოთახში შეიყვანეს. ეტყობა, მოხუცი ძალზე მოშიებული იყო და გემრიელად მიირთვა საჭმელი, რაც ამ შუაღამისას მიართვეს, თანაც რამდენიმე ჭიქა ღვინოც დააყოლა. სტუმარს რბილი ლოგინი გაუშალეს, მაგრამ მან ტახტზე ისურვა წამოწოლა. ზურგჩანთა, რომელსაც წამითაც არ იშორებდა,

ბალიშის ნაცვლად თავქვეშ ამოიდო და დაქანცულს უმალ ჩაეძინა.

ალექსანდრეს უცხო მამაკაცი ესიზმრა.

- ივარგე ალექსანდრე! - ჩურჩულით უთხრა მან.

- რაშია საქმე?... - გაოცდა ალექსანდრე.

- ის კაცი ავაზაკია. ნაყაჩაღარი განძეულობა უწყვია მაგ ზურგჩანთაში. აიღე ნაჯახი, ჩაარტყი თავში და ის სიმდიდრე, რომელიც მთელი ცხოვრება გეყოფა, ხახვივით შეგრჩება.

- როგორ... -განძისთვის კაცი მოვკლა? ასეთი მძიმე ცოდვის ჩადენას როგორ მირჩევ... ვინ ხარ და საიდან შემოხვედი ჩემს სიზმარში?...

- რაც მას ჩანთაში უწყვია, ყველაფერი ნაქურდალია. ხომ გაგიგონია, ქურდის ქურდი ცხონდებაო. არაფერი მოგეკითხება და სიმდიდრე კი დაგრჩება...

ალექსანდრეს შიშით გამოეღვიძა და მერე ისე

შემოათენდა რომ წამითაც არ მოუხუჭავს თვალი. დილაადრიან წამოდგა და მეორე ოთახში გავიდა, სადაც დაღლილ მგზავრს ჯერ კიდევ ღრმა ძილით ეძინა.

მოულოდნელ სტუმარს დილით სახელდახელოდ მიართვეს საუზმე. სტუმარმა ზეზეურად წაიხემსა, მერე თავისი მძიმე ჩანთა ზურგზე მოიგდო, მასპინძლებს მადლობა გადაუხადა და სახლიდან გავიდა. ალექსანდრემ ჭიშკრამდე მიაცილა.

- რა გაქვს მაგ ჩანთაში? - მაინც ვერ მოითმინა ალექსანდრემ.

- მკვდარივით მეძინა და შეგეძლო გაგეჩხრიკა, - ღიმილით მიუგო უცხომ.

- არ მიყვარს სხვისი ჩანთების ჩხრეკა. რაღაც დამესიზმრა საგულისხმო და იმიტომ გკითხე...

- სატანისაგან იყო ის სიზმარი და ღმერთმაც დაუშვა შენი გამოცდა.

მოხუცმა ჩანთა გახსნა და სარჩულიანად ამოაბრუნა. შიგ მხოლოდ ძველი ხამლები და დაბამბული ქურთუკი იდო.

- შეგეძლო მოგეკალი. ეშმა შენს სულს სთხოვდა ღმერთს. ედავებოდა, იმ დასჯილი სოფლიდან ეს რომ გადაარჩინე. დაღუპულებზე უკეთესი არაფრით არისო..

- შენ გაუძელი ცდუნებას და ნამდვილად ღირსი ხარ, რომ უფალი გმფარველობდეს. აწი ძილშიაც არ მოგელანდება სატანა, იძინე მშვიდად და აკეთე მართალი კაცის საქმე.

- ეს თქვა მოხუცმა და ის მოჩვენებასავით გაქრა.

თავი X

სიყვარულის წილ სიყვარული

ამოხდა ხანი. ალექსანდრე და ნინო საბოლოოდ დამკვიდრდნენ მზიანეთში. მათ ხუთი ვაჟი და ხუთი ქალიშვილი შეეძინათ. შესახედავად ლამაზები და ზნეობრივად ნათელი ბუნებისანი იყვნენ ათივენი. ქალიშვილები ერთმანეთის მიყოლებით გათხოვდნენ და აქვე, მზიანეთში დასახლდნენ. დაუსახლებელ სოფელში მიწა ბევრი იყო. დაოჯახდნენ ვაჟებიც.

აწ უკვე ხანში შესული ალექსანდრე და ნინო ძველებურად შრომობდნენ ოჯახისთვის, სოფლისთვისაც სასარგებლო საქმეს აკეთებდნენ. მათი თაოსნობით სოფლის შუაგულში, პატარა გორაკზე ეკლესია აშენდა. თანდათანობით დაიძრა ხალხი სალოცავისკენ და უკვე მეზობელი სოფლიდანაც

მოდიოდნენ წირვების მოსასმენად და ზიარების მისაღებად.

ალექსანდრე ძალიან შეეჩვია მზიანეთს და იშვიათად თუ წავიდოდა სხვაგან. საღამოობით უყვარდა სახლის აივანზე ჯდომა და მგალობელი ჩიტების სმენა. თითქოს ესმოდა და არც ესმოდა მათი ენა, მაგრამ ამ პატარა ფრთოსნების ჟივჟივი სიხარულს ჰგვრიდა.

სიყვარულით იცხოვრეს ალექსანდრემ და ნინომ. ამ ორი ადამიანის პატარა გულებმა მხოლოდ ერთმანეთის სიყვარული კი არა, მთელი სამყაროს სიყვარული დაიტიეს.

სიყვარულის წილ სიყვარული მიაგო მათ ბუნებამაც. მისცა ძალა და ენერგია, გაეძლოთ ყოველგვარი დაბრკოლებისთვის, ისე რომ ადამიანური ღირსება არ შებღალვიათ. მათ სწამდათ, რომ ადრე თუ გვიან ადამიანის სული უთუოდ გადასახლდებოდა შორს, სხვა განზომილებაში, სადაც იყო სხვა მზის ქვეყანა და სხვაგვარი ცხოვრება. ამ რწმენით შეაბერდნენ ამ წუთისოფელს.

მზიანეთმა თაობები გამოიცვალა. გაიზარდა სოფელი და ცნობილი გახდა იქ მცხოვრები კეთილი ადამიანების კეთილი საქმეებით. უკვე აღარ იყვნენ ალექსანდრე და ნინო, მაგრამ მათი სიკეთისა და სიყვარულის შესახებ აქ ყველამ იცოდა.

მესამე წიგნის

ლ ა ს ა ს რ უ ლ ი

„ჭირი იქა, ლხინი აქა“... ასე იყო ზღაპრის ბოლო, არსად ჭირი და ვაება, ჩვენ სიკეთე გვინდა მხოლოდ.

ზღაპრებს „სიბრძნე სიცრუისა“ უწოდა დიდმა ქართველმა მოაზროვნემ და სახელმწიფო მოღვაწემ სულხან საბა ორბელიანმა. პირდაპირი გაგებით თუ მიუდგებით, რა თქმა უნდა სიმართლეს არ შეესაბამება, რამეთუ სიბრძნე ის არის, რასაც არანაირი შეხება არა აქვს სიცრუესთან და მასში მხოლოდ ღრმად დაფარული, ხშირ შემთხვევაში ძნელად მისახვედრი სიმართლე იმალება. გასაგებია, რომ „სიცრუე“ პირობითად არის ნახმარი და სიბრძნის გამოსათქმელად „სიცრუე“ ანუ მოგონილი ამბავია გამოყენებული.

ადამიანის ფანტაზია ხელოვნების ამაღლებული და სუფთა ფორმაა, რომელიც ადამიანის უფლებად რჩება: ჩვენ ჩვენი საზომით ვზომავთ ამა თუ იმ მოვლენებს, რომელთა ახლებურად დანახვა, გვინარჩუნებს ბავშვობას. ფანტაზია გვეხმარება გამოუვალი სიტუაციიდან თავდაღწევის უნარის ჩამოყალიბებაში.

ყველა ზღაპრისთვის აუცილებელია ბედნიერი დასასრული, რომელიც სიმბოლოა სიკეთის გამარჯვებისა ბოროტებაზე და ამავდროულად ადამიანებისთვის მოულოდნელი და სასწაულებრივი მადლი. ამ საოცარი სიხარულის შექმნა განსაკუთრებით ზღაპრებში კარგად ხერხდება.

ლუარა ჭანტურია

სარჩევი

წინათქმა 3
თავი I - უმანკო სული 7
თავი II - ნიღაბი 11
თავი III - ბოროტება 17
თავი IV - ანგელოზის გამოცხადება 21
თავი V - სხვა მზის ქვეყანაში 24
თავი VI - გონისმიერი თვალი 33
თავი VII - სრული იდილია 40
თავი VIII - ბუნების ენა 42
თავი IX - იდუმალი ხმა 45
თავი X - ცხოვრების სხვა წესები 47
თ ა ვ ი XI - სატანის ხმა 49
თავი XII - დაბრუნება 51
თ ა ვ ი XIII - საიდუმლო განძი 53
თავი XIV - ბედნირება 57

წიგნი II 61
თავი I - დროებითი სიმშვიდე 63
თავი II - სატანური დვრიტა 69
თავი III - რკინის ბედისწერა 75
თავი IV - ჯადოსნური ბოლი 81

თავი V - იდუმალების გასაღები 85
თავი VI - განვედ, სატანავ, ჩემგან! 88
თავი VII - ბუნების იდუმალება 90
თავი VIII - დაკარგული სიყვარული 92
თავი IX - დაფარული ბილიკი 95
თავი X - ლუციანეს სოფელი 98
თავი XI - იავარქმნილი..... 101
თავი XII - მოლაპარაკე ვაშლის ხე..... 104
თავი XIII - ქვაში ჩაჭედილი მზეთუნახავი 108
თავი XIV - ჰოი, საოცრებავ! 111

წიგნი III 118
თავი I - ღვთის განგება 119
თავი II - ჯვრისწერა 121
თავი III - მაგიური ქვა..... 126
თავი IV - ლტოლვა საოცარი ქვეყნისკენ 130
თავი V - წარღვნა..... 136
თავი VI - მითიური ფრინველი..... 139
თავი VII - მზიანეთი..... 143
თავი VIII - ახალი საცხოვრისი..... 147
თავი IX - საბოლოო გამოცდა..... 152
თავი X - სიყვარულის წილ სიყვარული..... 157


ლიბერალი


ლუარა მანტაძე
ანი ბანი
საბავშვო ლექსები
და
გამოცანები


ლუარა მანტაძე
რიეული

გული ლოცვას
ლექსად მოხოვდა

ᲚᲣᲐᲠᲐ ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐ
ᲮᲜᲯᲐ ᲔᲖᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ
ᲖᲚᲝᲕᲐᲠᲘ

ᲭᲐᲓᲝᲗᲮᲜᲣᲚᲘ
ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ

ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘ

ᲚᲣᲐᲠᲐ ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐ
ᲮᲜᲯᲐ ᲔᲖᲘᲡ
ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ
ᲖᲚᲝᲕᲐᲠᲘ
ᲡᲐᲛ ᲬᲘᲗᲜᲝ